# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 ოქტომბერი, 2010 წელი.

№202 (6568)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## „სახლი სიხარულისა“ – თქვენ დაგექცეთ ოჯახი!

② ④

უკვე „ნემეცკი“ კი არა, „გრუზინსკი შროტით“

ქეიფამდე და ქეიფს მერე მოგვრილი ფიქრები

## აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი – 80



დიდი მეცნიერი, რომლის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია

⑥-⑦



## „გაისად ქვეყანას სოციალური აფეთქება ემუქრება“

②

## რატომ ჰგონია გამომძღარ ხელისუფლებას ხალხიც მაძღარი?

③



მთავრობას ქამრის მოჭერა ამჯერადაც დაავიწყდა

## „სიკვდილი ვინატრე განადგურებული ერგნეთის ხილვისას“...



დამწვარი სახლები ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, თავის სახლთან ყველა ინტუიციით მივიდა. სოფელი ჩაჩუმებული იყო, სულიერი არავინ ჩანდა, ცოტა ხანში ორი შეიარაღებული ოსის ბიჭი დამადგა თავზე, შიშისგან სუნთქვა შემეკრა, მომიახლოვდნენ და ქართულად დამიწყეს დაკითხვა

④



## ერთმანეთში ნუ ავურევთ ფირალსა და სამშობლოსთვის თავდადებულ პატრიოტს!

⑨

⑧

## საქართველოს პანკავკასიური მისწრაფებანი

## ავანტიურული „რეიტინგები“

②

**ბრიფინგი**

# „გაისად ქვეყანას სოციალური აფეთქება ემუქრება“

## რა მდგომარეობაა იმერეთის სოფლებში?



***თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ სამი დღე იმერეთში დაჰყო. მან წყალტუბოში პარტიის რაიონული ოფისი გახსნა და თვითონაც რამდენიმე სოფელი მოინახულა. ფარცხანაყანების, გეგუთის, მაღლაკისა და ქვილიშორის მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციონერი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საქართველოს რეგიონებში უმძიმესი სოციალური ვითარება და ამის შესახებ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.***

**„სოფლებში ადგილობრივების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველების არარსებობაა, რის გამოც მათ უმეტესად გაზრდილი გადასახადის გადახდა უწევთ. სოფლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მხოლოდ 70 პროცენტია დამუშავებული, რადგან გლეხს ჰექტარი მიწის დამუშავება 1000 ლარი უჯდება. კვლავ პრობლემად რჩება სარწყავი წყლის მიწოდება. ერთმა წყალტუბოელმა გვითხრა: ეს უბედურების ზონააო და მართლაც, ადგილზე უნდა ნახოთ, რა გამოუვალ მდგომარეობაშია წყალტუბოს რაიონი და ზოგადად რეგიონი, რომელიც ადრე ბოსტნეულისა და მწვანილის უპირველესი მომმარაგებელი იყო“,** — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერისთვის მნიშვნელოვანია წყალტუბოს სანატორიუმებში ჩასახლებული დევნილების პირობები. **„ამ რაიონში 8 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ადამიანი ცხოვრობს. მე ადრეც ვიყავი აქ, მაგრამ ახლა კიდევ უფრო უარესი პირობები აქვთ. ვერ იღებენ მინიმალურ სამედიცინო დახმარებას. ხშირად ელექტროენერგიას უთიშავენ, ხოლო მათთვის საცხოვრებელი ფართების და მიწის დაკანონება ჭიანურდება. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა იქ თითქმის არ ჩადის, ადგილობრივი ხელისუფლება კი დევნილთა ინტერესებს საერთოდ არ იცავს“,** — ირწმუნება ალასანია. მან ასევე აღნიშნა, რომ 23 ლარი ყოველთვიურად დახმარების მიღებაც კი ხანდახან პრობლემურია. დაახლოებით 72 თეთრი დღეში, — ეს არის მათი შემოსავალი. კიდევ უფრო საშინელებაა ზამთარი იმერლებისთვის, რადგან ერთ მანქანა შეშაში 500-600 ლარის გადახდა უწევთ, რისი შესაძლებლობაც უმეტესობას არა აქვს.

აი, ის პრობლემები და ის რეალობა, რომელთაც არც ერთი ნაციონალური მაუწყებელი არ აჩვენებს. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და სოციალური დაცვის კუთხით მეტი კონცენტრირება მოახდინოს, თორემ ქვეყანას 2011 წელს სოციალური აფეთქება ემუქრება, — ამბობს დემოკრატების ლიდერი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ კითხვაზე, რას ფიქრობენ იმერეთში პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით, ალასანიამ პირდაპირი პასუხი ვერ გასცა (ეტყობა, მსგავსი საკითხები არ ყოფილა მათი დიალოგის თემაძ, თუმცა თქვა, რომ „იქაურებს პარლამენტის მიმართ ნდობა ძალიან დაბალი აქვთ. ნაკლებად თუ ვინმემ იცის დეპუტატების გვარი და, საერთოდ, მთელს იმერეთში ისეთი განწყობაა, რომ ხელისუფლება საერთოდ არაფერს აკეთებს“.

**აქედან გამომდინარე, არც ირაკლი ალასანია ენდობა რესპუბლიკური ინსტიტუტის ჩატარებულ გამოკითხვებსა და იმ რეიტინგებს, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა, რომლის მიხედვით კვლავ პრეზიდენტი და ნაციონალები ლიდერობენ.**

**თეა მოსია**

**ოპოზიცია**

# ავანტიურული „რეიტინგები“



**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გამართა ბრიფინგი თემაზე: „შენიღბული რეიტინგების სინამდვილე“. იგი ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებს შეთითხნილ, ავანტიურულ „რეიტინგებად“ მიიჩნევს.**

გუგავამ განაცხადა, რომ არჩევნების ტრადიციული გაყალბებით ცდილობენ, მოსახლეობა მარიონეტი მიხეილ სააკაშვილის უვადო მმართველობას შეაგუონ.

ლეიბორისტების ლიდერმა მაკკეინი სააკაშვილის პოლიტიკურ ნათლიმამად და მის თანამზრახველად მოიხსენია საქართველოში ავანტიურისტული ქმედებების განხორციელებაში.

ბრიფინგის ბოლოს გიორგი გუგავამ განაცხადა: **„ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ აშშ-ს კონგრესს** (ლეიბორისტებს ადრეც გაუგზავნიათ მიმართვა აშშ-ში და პასუხად უპასუხობა მიუღიათძ, **შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის საქართველოს საკითხებზე მომუშავე ჩინოვნიკთა საქმიანობას, და რომელთა საქმიანობაც ამერიკის დისკრედიტაციას ემსახურება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე რეგიონში“.**

**სოფიო გაბისონია**

**მოღორებული კაცის ნაკვნესი**

# „სახლი სიხარულისა“ – თქვენ დაგექცეთ ოჯახი!

## უკვე „ნემეცკი“ კი არა, „გრუზინსკი შჩოტით“ ქეიფამდე და ქეიფს მერე მოგვრილი ფიქრები

**„თბილისობაა, თბილისობაა, მეხივით გასკდა მოწმენდილ ცაზე!“ — ასე მღეროდა თემურ წიკლაური იმ პირველ, თუ არ ვცდები, 1979 წლის თბილისობაზე, და ვისაც ახსოვს, დამეთანხმება, რომ მთელი ქალაქი, საქართველო იზიარებდა ამ სიხარულის პათოსს.**

**რატომ? იმიტომ, რომ მაშინდელი თბილისი, „კომუნისტური მონობის“ მიუხედავად, მაინც „სახლი სიხარულისა“ იყო, როგორც მრავალი საუკუნის წინათ უწოდეს მას უცხოელებმა.**

**ახლა? რასაც ნაცპროპაგანდა თბილისობას უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა მშიერი, გამწარებული ხალხის მოღორების მცდელობა უიმედობით, სევდით მოცულ დედაქალაქში. ამიტომ ამ თბილისობისთვის უფრო უპრიანი თემურ წიკლაურის „იმ“ სიმღერის პერიფრაზი იქნება — თბილისობაა, თბილისობაა, საპნის ბუშტივით გასკდა ნაცრისფერ ცაზე!**

საერთოდ არ ვაპირებდი გასვლას ქუჩაში, მაგრამ წინა შაბათს მაინც მომიწია, რადგან სიონის ტაძარში გასვენებაზე ვიყავი მისასვლელი. ასე რომ, უნებურად მოვხვდი ნაძალადევი დღესასწაულის ერთ-ერთ მთავარ სცენაზე, სადაურ შთაბეჭდილებებსა და ნანახგანცდილსაც ახლა გთავაზობთ.

დავიწყოთ იქიდან, რომ თავისუფლების მოედანზე მეტროდან ამოსული ვიდრე ლესელიძის ქუჩით სიონამდე ჩაველი, ჯიბეში სამ ლარამდე ხურდა ფული რომ მეყარა, იმ ხურდიდან თეთრიც არ შემრჩა. ვის 10 და ვის 20 თეთრი მივეცი. იმის გამოთვლა, თუ დაახლოებით რამდენი მათხოვარი შემხვდებოდა სიონამდე, ვფიქრობ, ძნელი არ უნდა იყოს.

ახლა მცირე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტელეგადახვევა, ანუ ის, რასაც პირადად არ შევსწრებივარ, მაგრამ იმ დღეებში ტელევიზიით ვიხილე.

გიგანტურ აუზში — „საწნახელში“, როგორც ადრე, წლეულსაც დაჭყლიტეს ყურძენი. დიახ, დაჭყლიტეს, თანაც აუზში, რადგანაც, ვერც საწნახელს, ანუ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანწილად საკრალურ სიტყვას ვუწოდებ და მით უმეტეს ყურძნის დაწურვის საკრალურ რიტუალთან არაფერი აქვს საერთო იმას, რასაც ესენი სჩადიან. ამიტომაც ვამბობ: ჭყლეტა!



სიტყვამ მოიტანა და არანაკლები მკრეხელობა ნანუკამაც ჩაიდინა თავის, უკვე ყელში ამოსულ ე. წ. შოუში, როცა სტუდიაში იმიტირებულ აუზში, დედაკაცებს აჭყლეტინა ყურძენი.

ეს დაახლოებით იგივე დონის მკრეხელობაა, რაც საკურთხეველში ქალის შესვლა.

რა ვიცი, ასე გამიგონია და თანამედროვე ლიბერალისტებისთვის, მსგავსი შეხედულებები ალბათ ჩამორჩენილობას და არაევროპულობას ნიშნავს.

ეს ყველაფერი ზარზეიმით აჩვენეს მიშივიზიებმა, მაგრამ იმის ჩვენება „დაავიწყდათ“, რაც ამ ყურძნის ჭყლეტას ხალხის ჭყლეტა-ჯგლეთა მოჰყვა.

საქმე ის არის, რომ წინასწარ ჰქონდათ გამოცხადებული, ყურძნის ჭყლეტისგან მიღებულ წვენს (და არა ბადაგს, ბადაგიც, რაღაც საკრალურობის შემცველიაძ ხალხს დაურიგებდნენ! კი განაცხადეს, მაგრამ, როგორც ჩანს, როგორც პრეზიდენტს უყვარს ხოლმე თქმა, ნურას უკაცრავად!

წვენი სადღაც გააქრეს და ბიდონებით, კანისტრებით მისული ხალხი ხახამშრალი დატოვეს. ხოლო ამ უბედურებამ ჭყლეტაჯგლეთა დარჩენილი ჭაჭის გამო ატეხეს ერთმანეთში.

აი, ამაზე ვთქვი ზემოთ, რომ ეს თბილისობა, უკეთეს შემთხვევაში, ხალხის მოღორების მცდელობა იყო და ესეც ვერ თუ არ შეძლეს წესიერად ნაძალადევი დღესასწაულის მესვეურებმა.

ნაცტელევიზიებიდან ყურმოკვრით ვიცოდი, რომ წლევანდელი თბილისობის სცენარში ტივზე ქეიფიც უნდა ყოფილიყო და სიონთან ამასაც შევესწარი — მშვიდობის (ოლვეისულტრაძ ხიდის ქვეშიდან არღნის ხმის თანხლებით ტივი რომ გამოცურდა, რომელსაც ტელეოპერატორებით გავსებული რამდენიმე კატერი უვლიდა გარშემო, სანაპიროს ჯებირს მივაწყდით. მაინტერესებდა, რა ხალხი იქნებოდა ყარაჩოღელი გიჟუას თუ სხვა კინტოების როლში.

და ჰოი, საოცრებავ! ყველა დროის და ყველა ხელისუფლების „პროპკა“, გიორგი ბარამიძე არ გამეჩითა? — რაღაცას ბლუკუნებდა „რუსთავი-2“-ის თუ სხვათა მიკროფონებში. ალბათ კაცობაზე, ქართველობაზე... შემდეგ კი ისე ვაჟკაცურად გამოსცალა და ცერის ფრჩხილზე ისე ალალად დაიფერთხა თასი, თითქოს აფრასიძეების ოჯახი მაგას კი არა, მე და თქვენ ამოგვეჟუჟოს, მკითხველო!

დანარჩენი „ყარაჩოღელები“ ვერ გავარჩიე, რადგან ტივის შუაგულში გაშლილ სუფრაზე მწვადებს მიირთმევდნენ, მაგრამ რად გინდა მათი სახელები? ისინიც ბარამიძესნაირი კინტოები იქნებოდნენ!

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ერთი კი გავიფიქრე ამის შემხედვარემ — ის, ნამდვილი ყარაჩოღელები მიწაში უნდა იწვნენ და ეს, ახალი კინტოები მეტეხთან ტივზე, ჭამით ხელში უნდა ტოლუმბაშობდნენ?

იხ. 4 გვ.

**ინფორმაცია**

## გაერთიანება ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ

**ახალი ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ ევროკავშირი ახალ გაერთიანებას შექმნის, რომელმაც ევროპას ფინანსური პრობლემები თავიდან უნდა ააცილოს. ახალი კავშირის იდეა გერმანიისა და საფრანგეთის პირველ პირებს ეკუთვნით.**



ლიდერები შეთანხმდნენ, რომ მომავალი ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად შეიქმნება მუდმივი სისტემა, რომელიც ცალკეული ქვეყნების დავალიანებებსა და საბიუჯეტო საკითხს მოაგვარებს. დაწესდება სანქციები იმ წევრი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალის კონტროლს ვერ მოახერხებენ. ინიციატივით სამიტზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გამოვიდა. ამ საკანონმდებლო რეგულაციის დამტკიცებას ყველა წევრი ქვეყნის პარლამენტის მიერ დოკუმენტის რატიფიცირებაც დასჭირდება.

— შევთანხმდით, რომ უნდა არსებობდეს კრიზისის დაძლევის მუდმივი მექანიზმი, რომელშიც წევრი ქვეყნების წარმომადგენლები უნდა გაერთიანდნენ. ეს კი სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მცირე ცვლილებებს მოითხოვს, — აცხადებს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

## უკრაინა რუსეთს ხორბალს მიჰყიდის

**უკრაინული სააგენტოების ინფორმაციით, ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები რუსეთში 2 მლნ ტონა უკრაინული ხორბლის ექსპორტზე შეთანხმდნენ.**

— უახლოეს პერიოდში რუსეთში 2 მლნ ტონა ხორბალს გავგზავნით. ეს მეზობლებს ხორბალთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება, — განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი იაზაროვმა.



როგორც ცნობილია, რუსეთში წელს 22 მლნ ტონით ნაკლები ხორბლის მოსავალი მოვიდა. დეფიციტის შევსებას მოსკოვი ყაზახეთის მეშვეობით გეგმავს, რომელიც რუსეთს 2,5 მლნ ტონა ხორბალს შეჰპირდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

მშიერი ეკონომიკა

# გამომძღარ ხელისუფლებას ხალხიც მაძღარი ჰგონია

***მიხეილ სააკაშვილის ამასწინანდელმა „საზღვაო ტრიუკმა“ ცივი ზამთრის მოლოდინში გაყურსული მსოფლიო კიდევ ერთხელ გაამხიარულა. გამონაკლისად უნდა აღვიქვათ რუს „დუმისტთა“ გამოხდომები, რომელთაც მიშას მორიგი სიანცე პუტინის მორიგ „პოლიტიკურ დუელში“ გამოწვევად მონათლეს და საქართველოს პრეზიდენტის მისამართით მკვახე-მკვახე გამონათქვამების მთელი გორა დააყენეს. მაგრამ, ეს არ არის არსებითი, უფრო მთავარი ის გახლავთ, რომ ქართველთა შიშველმა „მეტეომეფემ“ გააცამტვერა მეცნიერ-მეტეოროლოგთა ორსაუკუნოვანი მტკიცება — თითქოს ბათუმი წვიმებით ჩაბჟუებული, მაღალტენიანი ქალაქი იყოს.***

რას ბრძანებთ, ბატონებო! რა წვიმა, რის ტენი, წელიწადის მთელი 6 თვის მანძილზე აქ ჩახჩახა მზიანი ამინდები და უწყვეტი საბანაო სეზონიაო. უცხოელო ტურისტებო, არავინ მოგატყუოთ, გვეწვიეთ ბათუმში, დაისვენეთ, გაირუჯეთ, თქვენ ისიამოვნეთ, ჩვენ კი საბიუჯეტო შემოსავლებით გაგვამდიდრეთო. ჩვენმა საშინაო თუ საგარეო ოპონენტებმა (შეიძლება მათ შინაურულად მტრებიც ვუწოდოთ!) საქართველოს პრეზიდენტის პიარრეკლამის ამ „დედოაზრს“ გვერდი აუარეს და მიშას საშემოდგომო გაშიშვლება მის მორიგ სისულელედ და სიტინგიცედ მონათლეს.

ასეთ კრიტიკულ მომენტში ჭაბუკ პრეზიდენტს ისევ მისმა გამზრდელმა, პრეზიდენტყოფილმა ედუარდ შევარდნაძემ შეაწია სიტყვა. რა ვუყოთ მერე, თქვა მან, **„ახლა მთლად შიშველი ხომ არ იყო, ტრუსი ეცვა... ესე იგი კიდევ აქვს შანსი, ხალხი გააოცოს!“** თუმცა ბატონ ედუარდის ღრმააზროვნად ნათქვამი ზოგმა ისე გაიგო, რომ მომავალში მიშა საქვეყნოდ კიდევ არაერთხელ გაშიშვლდება, ოღონდ, ტრუსიც აღარ ეცმევაო...

მე პირადად, მაგალითად, მიშას ტრუსს კი არა, იმას მივაქციე ყურადღება, პრეზიდენტს კროლით, გნებავთ, მკლავურით ცურვის დროს წელზე ქამარი თუ ჰქონდა შემოჭერილი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამის დადგენა ძალიან გამიჭირდა. აბა რა იქნებოდა, ამ ჩვენი მთავრობის ბაგას მიბმული ტელეკომპანიების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ისეთ რამეს შემოგტენიან ცხვირში (თანაც უთვალავჯერ!), რაც არ გაინტერესებს, ხოლო იმას, რასაც გაფაციცებით ელოდები, ფარდის უკან მოაფარებენ. ამჯერადაც ასე მოხდა, ტელეოპერატორებმა რატომღაც ზღვაში ჩასვლამდე პრეზიდენტის გახდის მომენტი არ აჩვენეს (ალბათ შეგნებულად!, რათა არ დაგვენახა, მას მოჭერილი ჰქონდა თუ არა ქამარი. შემოჭერას თავი გავანებოთ, ისიც საინტერესოა, საერთოდ თუ ეკეთა ქამარი?! არადა ყველას კარგად გვახსოვს, ამ ორიოდე კვირის წინათ, **სააკაშვილმა როგორი შეუვალი სიმკაცრით გააფრთხილა მთავრობის წევრები: ქვეყანაში უამრავი გაჭირვებული გვყავს და ჩვენ მოვალენი ვართ, რაც შეიძლება, ქამრები მაგრად შემოვიჭიროთო.**

ეს არ გახლავთ ნოვაცია. ქამრების შემოჭერაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის ეკონომიკის „მამად“ აღიარებულმა ბენდუქიძემ წამოიწყო (წელი არ ჰქონდა და, გაუგებარია, ქამარი რაზე უნდა შემოეჭირა?!), მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა. ასეა ახლაც, მთავრობამ ვითომ მოიქაჩლა თავი, შეგვპირდა, პირიდან კუთვნილ ლუკმას გამოვიღებთ და ხალხს დავაპურებთო, მაგრამ ესოდენ ნანატრი „ქამრების მოჭერა“ ამჯერადაც დაავიწყდა. ეს გამოჩნდა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდანაც, რომელსაც აქეთ ოპოზიცია და იქით ფინანსთა მინისტრი სხვადასხვა ენაზე (ერთი — ქართულად, მეორე — ინგლისურად!) კითხულობენ. **ფინანსთა მინისტრი ირწმუნება, რომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა მომავალ წელსაც გაგრძელდება (თითქოს წლეულს შემოჭერისგან წელები გადასწყდათ!), ოპოზიცია კი გვიმტკიცებს, რომ ქამრების შემოჭერა კი არ გრძელდება, არამედ ცალკეულ სამთავრობო უწყებათა ხარჯები იზრდება.**

ოპოზიცია ირწმუნება, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების დაფინანსება იზრდება, კახა ბაინდურაშვილი კი ამ ფონდების დაფინანსების შემცირებაზე საუბრობს(?!). **რეალობა ის გახლავთ, რომ 2010 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტით, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები 25-25 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული, შემდგომ კი ამ ფონდების დაფინანსება რატომღაც 55-55 მილიონ ლარამდე გაიზარდა და მთლიანობაში 110 მილიონი შეადგინა.**

რამ განაპირობა ბიუჯეტის ასეთი ფერისცვალება, ვითომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ? ამაზე თუ არა აქვს პასუხი ფინანსთა სამინისტროს, იქნებ ის მაინც აგვიხსნას, რა იგულისხმება ბიუჯეტის პროექტის იმ მუხლში, რომელიც ყველა სამინისტროს დაფინანსებაში „სხვა ხარჯების“ გრაფით არის შემოგდებული? ეს ის ხარჯებია, რომელიც გეომეტრიული პროგრესით იზრდება და აღწევს მილიარდამდე ლარს. ოპონენტთა აზრით, „სხვა ხარჯები“ ნიშნავს ხარჯებს, რომელიც ჯერ არ არის გათვალისწინებული ხელისუფლება მას რაში დახარჯავს, მაგრამ საკუთარ ინტერესებზე მორგებით რომ დახარჯავს, მთავრობამ საამისოდ უკვე საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა დააგროვა. **ალბათ ამის გათვალისწინებით უწოდა დეპუტატმა გიორგი თარგამაძემ „სხვა ხარჯებს“ ბიუჯეტის „შავი ხვრელები“, სადაც მთავრობა როცა მოესურვება მაშინ შეყოფს ხელს და გამჭვირვალე ბიუჯეტიდან გაუმჭვირვალე თანხებს ჯიბეში ჩაიჩხრიალებს.**



ასე რომ, ხელისუფლების სიმაძღრეს სამომავალწლოდაც საშიშროება არ ემუქრება. რაც შეეხება ხალხს, კეთილი ინებოს და მიჩვეულ შიმშილობას არ უღალატოს. მით უფრო, რომ საამისოდ ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს. მართალია დოლართან მიმართებაში ლარი ერთგვარად გამყარდა, მაგრამ ამას გაძვირებულ პროდუქტებზე გავლენა არ მოუხდენია. მეტიც, ფასების ზრდა ისევ ძველებურად გრძელდება. **ამ დღეებში თითქმის 12-15 პროცენტით გაძვირდა რძის პროდუქტები და, საერთოდ, პროდუქცია ქართულ ბაზარზე. შესაბამისად, მატულობს ინფლაციის საშიშროება. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ფასები მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 400 პროცენტით გაიზარდა, რაც მოსახლეობის ყოფაზე კატასტროფულად აისახება.**

## მთავრობას ქამრის მოჭერა ამჯერადაც დაავიწყდა

საქმე იქამდე მივიდა, რომ ოფიციალური სტატისტიკაც ვეღარ აფარებს ხელს რეალობას. ამ უკანასკნელის მონაცემებით, ქვეყანაში ფასები, 2004 წელთან შედარებით, 60-85 პროცენტითაა გაზრდილი, თუმცა არაოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი უფრო მაღალია და 300-400 პროცენტს შეადგენს. **ამის დასტურად თუნდაც კარტოფილი გამოდგება. თუ 2004-2005 წლებში ერთი კილოგრამი კარტოფილის ფასი 30-40 თეთრს არ აღემატებოდა, დღეს ამ ციფრმა 1 ლარს გადააჭარბა, ანუ ფასი 300 პროცენტით გაიზარდა. როგორც ვარაუდობენ, მისი ფასი ზამთრის დადგომასთან ერთად კიდევ უფრო აიწევს და 1,5 ლარს მიაღწევს.**

ბოლო დღეებში „სიურპრიზად“ დაატყდა თავს გაძვალტყავებულ მოსახლეობას ხორცის ბაზარზე ფასების უჩვეულო ზრდა, რასაც ხელისუფლების ახალმა „ინიციატივამ“ დაუდო სათავე. ლაპარაკია ახალ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვით ყველა სუპერმარკეტი და მარკეტი ვალდებულია, რომ მაღაზიაში მხოლოდ სასაკლაოში შეძენილი ხორცი გაყიდოს. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ **აქამდე ერთი კილოგრამი ხორცის ფასი თუ 8-დან 9 ლარამდე მერყეობდა, ახლა ის 10-დან 12 ლარამდე გაიზარდა. აღარაფერს ვამბობთ შაქარზე, რომელიც 2004-2005 წლებთან შედარებით თითქმის 350 პროცენტითაა გაძვირებული. შესაბამისად გაძვირდა პური, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. თითქმის 500 პროცენტით მოიმატა ფასმა ნიორზე, რომელიც ადრინდელი 2-2,5-ის ნაცვლად უკვე 10-12 ლარი ღირს.**

ამ ფონზე, პრეზიდენტ სააკაშვილს ჰყოფნის გამბედაობა, მაროკოდან მსოფლიოს გასაგონად იტრაბახოს, რომ ამჟამად მიმდინარე გლობალური კრიზისის მიუხედავად, საქართველოში წლეულს ეკონომიკა 6 პროცენტით გაიზრდება, მომავალ წელს — 8 პროცენტით, ხოლო მომდევნო წლებში ორნიშნა ციფრსაც კი მიაღწევს; რომ საქართველოს ბიზნესის მარტივად კეთების მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ბადალი არა ჰყავს; რომ პლანეტაზე არსად არ არის შექმნილი ინვესტორებისთვის ისეთი კომფორტი, როგორიც საქართველოშია, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ასეთ დროს, სრულიად ბუნებრივად, შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: როგორ ხდება, რომ ასეთ ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყანაში, სადაც ხალხის კეთილდღეობა დუღს და გადმოდუღს, არაოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია, 50 პროცენტზე მეტი — სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი და, არც თუ იშვიათად, მშიერი ადამიანები ნაგვის ბუნკერებში იქექებიან?

საკუთარი მიღწევებით აღტკინებულ პრეზიდენტს ამ კითხვაზეც აქვს პასუხი: ჩვენ შეგვიძლია დღესვე ბიუჯეტიდან მოვხსნათ 100 მილიონი ლარი და სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს დავურიგოთ, მაგრამ ამით რას მივაღწევთ? ვერაფერს. ისინი 2-3 თვეში კუჭს კი ამოივსებენ, მაგრამ სამაგიეროდ შეასუსტებენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს, რაც სამომავლოდ მისი მდგრადი განვითარების პერსპექტივაზე მომაკვდინებლად იმოქმედებს. აქედან გამომდინარე (სააკაშვილს ეს აღარ უთქვამს, მაგრამ მისი მსჯელობიდან შეიძლება ასე დავასკვნათ!, ქვეყნისთვის გაცილებით პერსპექტიულია, მშიერმა ხალხმა შემოიჭიროს ქამარი (მისთვის უფრო იოლი მოსახერხებელია!), ვიდრე მაძღარმა ხელისუფლებამ. მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ პრობლემისადმი ასეთ მიდგომას ალტერნატივა არა აქვს.

**ოთარ ხუციშვილი**

პრეზენტაცია

# ინოვაციური ვებ-გვერდი ახალგაზრდებისთვის

**ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები და მათი პარტნიორები, ჰომოსექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები, კომერციული სექს-მუშაკი ქალები და აივ-ინფექციაზე მაღალი რისკის მქონე ახალგაზრდები, — აი, ის სამიზნე ჯგუფები, რომლებიც „აივ ინფექციის პროექტის“ ინტერესთა ფარგლებში მოექცევიან.**

ეს ყველაფერი იმ მიზნით კეთდება, რომ თავიდან ავიცილოთ მოსახლეობაში ინფექციის გავრცელება. წინასწარი ღონისძიებები კი აუცილებლად უნდა გატარდეს, რომელიც GHPP-ს 6 მილიონ აშშ დოლარზე მეტი უჯდება. პროექტი აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა: ის 2010 წლის 4 თებერვალს დაიწყო და 2014 წლის დეკემბერში დასრულდება.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ „საქართველოში აივ პრევენციის პროექტისა“ და კომპანია „ბილაინის“ ერთობლივი პრეზენტაცია გაიმართა. მათ საზოგადოებას ახალი ვებ-გვერდი www.geoyouth.ge წარუდგინეს. ეს არის საიტი ახალგაზრდებისთვის, სადაც ისინი მათთვის საინტერესო თითქმის ყველა ინფორმაციას მოიძიებენ, მაგრამ ძირითადად ვერბალური გვერდი ჯანსაღი წესის შესახებ მოუთხრობს. აქ თავს მოიყრის ამომწურავი თემები თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მავნე ზეგავლენის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, თანასწორთა ზეგავლენის შესახებ. რაც შეეხება „ბილაინის“ ამ პროექტში მონაწილეობას, ის ჩაერთვება SMS-კამპანიაში, ანუ კომპანია თავის მომხმარებელს რეგულარულად მიაწვდის „აივ პრევენციის პროექტის“ ექსპერტთა შემუშავებულ მოკლე ტესტურ შეტყობინებებს ანტინარკოტიკულ თემებზე, შიდსის პრევენციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, მსგავსი მეთოდი დიდი ხანია წარმატებით ხორციელდება რამდენიმე ქვეყანაში.

**ძნელი სათქმელია, რამდენად ეფექტიანი იქნება პროექტი 21-ე საუკუნის ახალგაზრდების ფსიქოლოგიაზე ზეგავლენის მოსახდენად, მაგრამ გარკვეული შედეგი, ალბათ, უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ პროექტი გრძელვადიანია და ამავე დროს — მაღალბიუჯეტიანი...**

**ნია ფიფია**

ინფორმაცია

## „ომეგას“ სარჩელი დაკმაყოფილებულია

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ შპს „ომეგას“ სარჩელი დააკმაყოფილა საგადასახადო ორგანოების მიმართ.**

**სასამართლოს გადაწყვეტილებით საგადასახადო ორგანოს დაევალა 2010 წლის 13 ივლისს ამოღებული სასაქონლო ზედნადებების დედნების შპს „ომეგასთვის“ დაბრუნება.**

**სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარეებისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 202. შაბათი, 30 ოქტომბერი, 2010 წელი.

მოლორებული კაცის ნაკვნესი

# „სახლი სიხარულისა“ – თქვენ დაგექცეთ ოჯახი!

(მეორე გვერდიდან)

ტელევიზიებით ვიხილეთ „ვერის უბნის მელოდიების“ გარემიქსებული, სასცენო ვარიანტი. სხვისი არ ვიცი და, ბუბა კიკაბიძის, ნანი ბრეგვაძის, ეკა მამალაძის ხილვამ



იმ სცენაზე, სწორედ ზემოთ თქმულის და, მით უმეტეს, ქვემოთ რის თქმასაც ვაპირებ იმის გამო, უსიამო გრძნობა მომგვარა. თორემ გაკვირვებით დიდი ხანია, აღარაფერი მიკვირს იმ პირველი, გასული საუკუნის თბილისობის მართლაც ვარსკვლავებისგან.

ეჰ, ასე იყო თუ ისე, ისევ იმ დღეს მინდა დავუბრუნდე. საღამოჟამს სახლისკენ ავილე გეზი და სპორტის სასახლესთან მეტროდან ამოსულს, თბილისობის რა მოგახსენოთ და, ბაზარში მეგონა თავი. თან გავიფიქრე, ამ გარემოვაჭრეებს რომ დაერივნენ, რა უნდოდათ, მთელი ესეც და ბევრი სხვა თბილისობა, გარევაჭრობა არ იყო? ერთი „მნიშვნელოვანი“ განსხვავება ნაღდად იგრძნობოდა – ადრე ხალხს სახსარი ჰქონდა და ყიდულობდა, ახლა კი მყიდველებს რომ ვაჭრები სჭარბობდნენ, აშკარად ჩანდა! სხვათა შორის, სპორტის სასახლის წინა მოედანზე „თათარიახნად“ მოწყობილი სამწვადეების რაოდენობაც სჭარბობდა მუშტრების რიცხოვნობას!

ჰოდა, სწორედ ერთ-ერთ ასეთ სამწვადეში მიმიპატიჟეს ჩემსავით ჯიბეგახვრეტილმა უბნელებმა, რომლებიც სასოებით შესცქეროდნენ დიდი ხნის გაცივებული მწვადის ორიოდე ნაჭერს.

მეც ცხადია, მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა. ჯიბეები მოვიჩხრიკე და ორი მწვადით (5 პატარა ნაჭერი – 5 ლარიძ და ერთი ბოთლი ღვინით, უბნელების „ნემეცკი შჩოტს“ შევუერთდი. თუმცა, რატომ „ნემეცკის“? დიდი ხანია, ასეთ რამეს უკვე „გრუზინსკი შჩოტი“ შეიძლება თამამად ვუწოდოთ. ისე გაგვამათხოვრეს და ისე გაგვალატაკეს, რომ სამწვადეში კი არა, „მარშუტკაში“ ჩაჯდომის მეშინია, ემანდ ვინმე ნაცნობი არ შემეფეთოს-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, ჩვენს „ქართულ ანგარიშს“ კიდევ ორი-სამი კაცი შემოემატა და ისე ჩავთვერ-გამოვტყვერით, რომ თბილისობა არავის გახსენებია.

გახსენებაზე გამახსენდა და, გვარიანად შეზარხოშებულს კინოფილმის „შეხვედრა წარსულთან“ ის ეპიზოდი დამიდგა თვალწინ, ჩვენი ნაცების და თბილისობისა არ იყოს, სერგო ზაქარიაძე – ალმასხანი საკუთარ მეზობლებს მოსალორებლად რომ აქეიფებს აკიას ქორწილში.

ალმასხანის ოჯახის ხმამაღალ სადღეგრძელოს, დაგექცა ოჯახიო! – თავისთვის, ჩუმად მიაყოლებდნენ ხოლმე მუცელამოყორილი, მოლორებული მეზებელი გლეხები.

ჰოდა თბილისს რას ვერჩი? თბილისსაც გაუმარჯოს, საქართველოსაც და აქ მაცხოვრებელ მილეთის ხალხსაც, ვისთვისაც ყოველი თბილისობა მართლაც დღესასწაული იყო, რადგანაც არავის, თითოოროლა ბოგანოს გარდა, სხვის სამადლოდ, მოსალორებლად არ ჰქონდა საქმე. ამიტომაც უწოდეს თბილისს „სახლი სიხარულისა“.

ჰოდა, ყველას, ვინც ეს სახლი დაგვინგრია და დაგვიქცია, ალმასხანის ოჯახისა არ იყოს, იმას დაექცეს ოჯახი!

**დავით მხეიძე**

***P. S. წერილი** უკვე მზად მქონდა, რომ ერთი თავზარდამცემი ამბავი მართლაც ბომბივით გასკდა თბილისის ცაზე. ოღონდაც არა მოწმენდილზე, არამედ მოქუფრულზე და, ამდენად, მოულოდნელი სულაც არ იყო – ასეთი საზარელი რამ „ამათ ხელში“ შეიძლება გაცილებით ადრეც მომხდარიყო:*

*ერთმა საწყალმა, აფხაზეთიდან დევნილმა ქალმა თბილისში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შენობის წინ, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. ის დღესაც უმძიმეს მდგომარეობაში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა.*

*– სად წავიდე, თბილისიდან რომ მაგდებთ, იქ რა ვაჭამო შვილებსო? – უკითხავს მას ლტოლვილთა და გასახლების (დიახ, გასახლებისა და არა განსახლების, რადგანაც თუ ვინმე განსახლდა და დასახლდა, ეს, პირველ რიგში, უგულავას ნაშოფრალი, გამინისტრებული კობა სუბელიანია!) სამინისტროში.*

*– ბალახი მოძოვეთ შენ და შენმა შვილებმაო! – მიუღია პასუხი.*

*ეს მოხდა ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ანუ იმ პერიოდში, როდესაც თბილისობის დღესასწაული ოფიციალურად ჯერ არ დასრულებულა! ამის შემდეგ ვინმეს ენა მოუბრუნდება და იტყვის, რომ ამათზე წყევლა-კრულვა ალალი არ არის?*

***დ. მ.***

ახალგაზრდულ ცენტრში



## ბაირონი და საქართველო

**სამების ტაძარში მოქმედი ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრი ბევრი საინტერესო ღონისძიების მასპინძელია. ხუთშაბათს იქ შეკრებილმა საზოგადოებამ მოისმინა ცნობილი მთარგმნელის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ინესა მერაბიშვილის ლექცია „ბაირონი და საქართველო“.**

ქალბატონი ინესა ჯორჯ ბაირონის შემოქმედების აღიარებული მკვლევარია, ხელმძღვანელობს ბაირონის საზოგადოებას, თარგმნის მის ლექსებს, იკვლევს საქართველოსთან დამაკავშირებელ ძაფებს, გავლენას ქართულ პოეტურ სამყაროზე.

მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო დიდი ინგლისელი პოეტის ბიოგრაფიის ღირსშესანიშნავი მომენტები, თუ როგორ აიძულა მეამბოხე პოეტი მაშინდელი ინგლისის საზოგადოებამ სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო, რა ხმალშემართული იბრძოდა თურქეთის უღლისგან საბერძნეთის გამოსახსნელად, რა კვალი დაამჩნია მისმა შემოქმედებამ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონის პოეზიას. თხრობას აცოცხლებდა და განუმეორებელ ელფერს მატებდა ბაირონის ლექსების ინგლისურ ენაზე და მათი მერაბიშვილისეული მშვენიერი თარგმანების სინქრონული კითხვა.

ამის გამო იყო, რომ თუმცა საღამო დიდხანს, სამ საათზე მეტი გაგრძელდა, შეკრებილი საზოგადოება არ დაღლილა და დიდი მადლობა გადაუხადა ამაგდარ ქალბატონს.

**სანდრო ალექსიძე**

გასაჭირი

***სოფელი** ერგნეთი ქართლის შუაგულში, ცხინვალთან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში მდებარეობს. განრისხებული მტრის შემოსევებს სოფელი მრავალჯერ გადაურჩა, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ათობით სოფლის მსგავსად ისიც ძლიერ დაზარალდა. მოსახლეობა ომის დროს გაიხიზნა და სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქს აფარებდა თავს. შინ მალე დაბრუნების იმედი ყველას ჰქონდა. საკუთარ სახლებში დაბრუნების მოლოდინი დაახლოებით ათი თვე გაგრძელდა. მართალია მოძალადე მეზობლებმა სოფელი დატოვეს, მაგრამ მათი ნაკვალევი სოფელს დღემდე ამჩნევია. დაბრუნებულ მოსახლეობას საშინელი სურათი დახვდა: გაპარტახებული სოფელი, სადაც ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავდა – გაძარცვული, დამწვარი და დანგრეული იყო.*

# „სიკვდილი ვინატრე განადგურებული ერგნეთის ხილვისას“...



ხელისუფლებამ დამწვარი სახლები სახელდახელოდ აშენებული კოტეჯებით ჩაანაცვლა და პირველადი მოხმარების საგნებითა და საყოფაცხოვრებო ავეჯით შეავსო. მძიმე ტექნიკისგან დანგრეული გზაც შეაკეთეს და მოსახლეობას საშუალება მიეცა საკუთარ ნასახლარს დაბრუნებოდა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემა დაგროვდა. სასმელი წყალი სოფელში კვირაში ერთხელ მხოლოდ რამდენიმე საათი მოდის. არ არის არც ერთი სავაჭრო დაწესებულება, ამიტომ ელემენტარული წვრილმანების საყიდლადაც კი ქალაქში მიდიან. ისედაც რთულ პირობებში მცხოვრებთ არა აქვთ სამუშაო ადგილები, ერგნეთში ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულება – სკოლა ფუნქციონირებს, ამიტომაც არის, რომ სოფელში მხოლოდ მოხუცებულებილა ცხოვრობენ, ახალგაზრდები კი სამუშაოს შოვნის მიზნით ქალაქში წავიდნენ...

ევგენია და გაიოზ დვალიშვილები ერგნეთის ძირძველი მაცხოვრებლები არიან. სხვების მსგავსად, ომის დროს ისინიც ნათესავებთან აფარებდნენ თავს, თუმცა ახლა ისევ ერგნეთში ცხოვრობენ და, მრავალი გასაჭირის მიუხედავად, კერას არ აცივებენ.

**ევგენია დვალიშვილი:** „2009 წლის გაზაფხულზე დავბრუნდით სოფელში, ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა, სახლები დამწვარი, შინაური ფრინველები და ცხოველები წაყვანილი, ვენახი – დალეწილი. აქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ახლად აშენებულ კოტეჯებში შემოგვასახლეს. სახლის ნანგრევები ჩვენი ხელით გავზიდეთ ეზოდან. აქ შემოსახლებიდან რამდენიმე თვე დახმარებებს ვიღებდით, თუმცა ახლა ისიც შეგვიწყვიტეს. დიდ პრობლემებს გვიქმნის უწყლობა, სასმელი წყალი კვირაში ერთი დღე, რამდენიმე საათით მოდის. სოფელში არ არის არც ერთი მაღაზია, პური ორ დღეში ერთხელ მანქანით მოაქვთ გასაყიდად.

სახლის გვერდით, პატარა ბოსტანი გვქონდა, მაგრამ რაკი სარწყავი წყალი არ იყო, ზამთრისთვის ვერაფერი მოვიყვანეთ, ცოტა ხილი მოგვივიდა საჭმელად.

მე და ჩემი მეუღლე პენსიას ვიღებთ და ჩვენი შემოსავალიც ეგ არის. თვეში ერთხელ გორში ჩავდივართ და ვიმარაგებთ პროდუქტს, რომ მეორე თვემდე თავი გავიტანოთ.

სოფელში მხოლოდ მოხუცები შემოვრჩით, თითო-ოროლა ახალგაზრდას თუ ნახავთ. რთულია აქ გაჩერება, სულ სროლებისა და აფეთქებების ხმა ისმის. მართალია სროლები ადრეც ისმოდა, მაგრამ ომის შემდეგ ორმაგი შიში გაგვიჩნდა. მაგათი ნდობა არ შეიძლება – როდის გადაუტრიალდებათ გონება, კაცმა არ იცის.

საუბრის დროს ნათელა დვალიშვილი შემოგვესწრო და ასეთი რამ გვიამბო: „2008 წლის სექტემბერში, როცა ომი ჯერ კიდევ ცხელ ფაზაში იყო, ჩვენც თბილისში ერთ ბაგა-ბაღს ვაფარებდით თავს. ჩემი ძმა პოლიციაში მუშაობს და იმ დროს საზღვარზე იდგა. ერთ დღეს დაგვირეკა და გვითხრა, რომ რუსი სამხედროების დახმარებით, ქართველები საკუთარი სახლების სანახავად შედიოდნენ. ჩემი ძმის იქ შესვლა იმ დროს სარისკო იყო, ამიტომ გადავწყვიტე, მეც შევსულიყავი.

მართლაც, დაგვეხმარნენ, დაახლოებით 15-20 ადამიანი შეგვიყვანეს (არც თანხა არ მოუთხოვიათ, ბევრი მითქმა-მოთქმა კი იყო, რომ ფულს მოგვთხოვდნენ და ასე შემდეგ...ძ

სიკვდილი ვინატრე განადგურებული სოფლის ხილვისას. დამწვარი სახლები ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, თავის სახლთან ყველა ინტუიციით მივიდა. სოფელი ჩაჩუმებული იყო, სულიერი არავინ ჩანდა, ცოტა ხანში ორი შეიარაღებული ოსის ბიჭი დამადგა თავზე, შიშისგან სუნთქვა შემეკრა, მომიახლოვდნენ და ქართულად დამიწყეს დაკითხვა – ვინა ხარ შენა?! აქ რა გინდა? ვინ მოგიყვანათ?! – რობოტივით ვიდექი. მერე მეორემ ჩუმად ჩაილაპარაკა, ესეც რუსების შემოყვანილი იქნება და დიდხანს არ შევაყოვნოთ, თორემ მოაკითხავენ და ჩვენც „დაგვერხევაო“.

შეკამათებას როგორ გავბედავდი, საკუთარი სახლიდან ისე გამოვიპარე, თითქოს ქურდი ვიყავი და ფაქტზე დამიჭირეს. რუსების დახმარებით ხალხმა გადარჩენილი ნივთიც კი წამოიღო“, – გაიხსენა ნათელა დვალიშვილმა.

ალბათ, გაგიკვირდებათ მრისხანე მტრის ასეთი ჰუმანური საქციელი, თუმცა ერთი-ორი ნორმალური ადამიანი ყველგან მოიძებნება, ვისთანაც საერთო ენის გამონახვა შეიძლება.

ასეთი რთული საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, მოსახლეობა მაინც უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობს...

**თინათინ ბორცვაძე**

ინფორმაცია

## იტალიელი ადმირალი ჩვენი სამხედროების მომზადებით აღფრთოვანებულია

**ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრი იტალიელი ადმირალი ჯამპაოლო დი პაოლა ქართველი სამხედროების სამხედრო მომზადების მაღალ დონეს აღნიშნავს.**

**ადმირალმა მოინახულა „კრწანისის“ სასწავლო ცენტრი, სადაც ქართველ სამხედროებს ნატოს ინსტრუქტორები ამზადებენ, მათ შორის ნატოს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად ავღანეთში.**

**„საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი სამხედროებით, ისინი ძალიან კარგად არიან მომზადებულნი“, – განაცხადა ადმირალმა ქართველ სამხედროებთან შეხვედრის შემდეგ.**

**იტალიელი ადმირალის ჯამპაოლო დი პაოლას ვიზიტი საქართველოში ორდღიანია.**

ჯი-ეიჩ-ენი

რონ მეტრეველი

# ღალატი და ერთგულება

## კომენტარი ვახტანგ ორბელიანზე ალექსანდრე ორბელიანის „მოგონების“ გამო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 200-201.

გორჯასპ ნათალიშვილმა მოკლა ირანელთა რაზმის მეთაური, შეახტა მის ცხენს და ერეკლესკენ გამოაჭენა – ამბავი მოიტანა მტრის შემოსვლისა. გორჯასპ ნათალიშვილი კახელების მხარეზე იყო მათი აჯანყების დროს. დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს გაჰყვა დაღესტანში, იქიდან სპარსეთში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა. ეკატერინე და გუქა აჯანყებულებთან იყვნენ, რის გამოც ისინი რუსის მმართველობას შეუპყრია, ჯერ თბილისში ჩამოუყვანიათ, შემდეგ კი რუსეთში გაუსახლებიათ. ისინი ბელგოროდის მონასტერში დამკვიდრებულან.

ვახტანგ ორბელიანის დისწული თადიაც კახელების მხარეზე იყო. მარცხის შემდეგ სპარსეთში გადასულა.

ვახტანგ ორბელიანს სხვა „სიკეთესთან“ ერთად ათვალწუნებული ჰქონდა ქართული ენაც, შეწუხებული იყო იმით, რომ მისი შვილები ქართულს სწავლობდნენ, მიიჩნევდა, რომ თუ ქართული ენა ისწავლეს, ჩემი შვილები რუსეთში ვერ ისწავლიანო.*

„მოგონებაში“ მოთხრობილი ამბავი ვახტანგ ორბელიანის შესახებ პატრიოტი შვილის მიერ მამის საქციელის შეუფერავი გადმოცემაა. ალექსანდრე ორბელიანი პასუხს სცემს მის მიერვე დასმულ კითხვას: კრწანისის ბრძოლის დროს „სად იყო მამაჩემი, მეფის ირაკლის ქალს თეკლეზედ დანიშნული?“ იგი, როგორც საქართველოს ჭეშმარიტი მოყვარული, ფაქტობრივად ჰკიცხავს ვახტანგ ორბელიანის დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლებასთან და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მძიმეა მოღალატის ბედი. ხშირია, როცა ადამიანები აცნობიერებენ თავის მოღალატურ ქმედებას და თავად გამოაქვთ საკუთარი თავისთვის განაჩენი. ასე მოხდა ვახტანგ ორბელიანის შემთხვევაშიც.

**P. S.** 1834 წელს ბატონიშვილი ანასტასია სწერდა თეკლა ბატონიშვილს: „თქვენმა ქმარმა თავისი სისხლი უმსხვერპლა ამ მაღალ ტახტს“. „მაღალი ტახტისთვის“ თავგანწირვა ვერაფერი ნუგეში იყო ერეკლე II-ის ასულისათვის. თეკლა ბაგრატიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დასძლია ოჯახში არსებული სირთულეები, რაც მისი მეუღლის – ვახტანგ ორბელიანის მიდრეკილებებთან იყო დაკავშირებული, და საქართველოს სამი ღირსეული შვილი გაუზარდა. თეკლა ბატონიშვილი მოყვასს ამხნევებდა ბრძნული სიტყვებით: „ღმერთი ბოროტს შეაძულებს, თუ კაცი მოითმენს, და კეთილს განაგრძელებსო“.

* ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, ტფ. 1892, გვ. 15.

### ერთგულება

ალექსანდრე ორბელიანი თავის „მოგონებაში“ გარკვეულ ადგილს უთმობს ალექსანდრე ერეკლეს ძეს (ბატონიშვილს). ალექსანდრე ბაგრატიონს (1770-1844 წწ.) გამორჩეული ადგილი უკავია XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ალექსანდრე ბატონიშვილი ერეკლე II-ისა და მისი მესამე ცოლის დარეჯანის შვილი იყო. იგი მეფის შვილებს შორის მეთექვსმეტე იყო. ძმებიდან მასზე უმცროსები მხოლოდ ფარნაოზი და ლუარსაბი იყვნენ.*

გადმოგვცემენ, რომ 12 წლის ალექსანდრე ბატონიშვილი გერმანელი დოქტორის იაკობ რაინეგსის ადიუტანტი გახლდა და ორივენი საარმიო ლეგიონის მუნდირებში დადიოდნენ თბილისის ქუჩებში.** იაკობ რაინეგსი რუსმა სახელმწიფო მოღვაწემ, გენერალ-ფელდმარშალმა გრიგოლ პოტიომკინმა დანიშნა კავკასიის ქრისტიანთა გამხნევების რწმუნებულად. იგი გატაცებული იყო სპარსეთში ლაშქრობისათვის სომეხთა ლეგიონის შექმნის იდეით. ბევრს დადიოდა თბილისის ქუჩებში და ხალხს მოუწოდებდა შეექმნათ საბრძოლო რაზმები და შეკრებილიყვნენ არარატის ველზე, შეერყიათ შაჰის


ალექსანდრე ბატონიშვილი

ტახტი, დაეპყროთ ანატოლია და კავკასიაში შეექმნათ ერთიანი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო. რაინეგსი 1783 წელს გაიწვიეს საქართველოდან და ბატონიშვილს მასთან ურთიერთობა აღარ ჰქონია.

1789 წლიდან ალექსანდრე ბატონიშვილი მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. 1793 წელს ყაზახის საქმეებს განაგებდა. 1794 წელს ალექსანდრემ ქვემო ქართლში საუფლისწულო მიიღო.*** 1794 წელს ერეკლე მეორის მითითებით ჯარით მიეშველა იმერეთის მეფეს სოლომონს, რომელიც ამ დროს ტახტის პრეტენდენტს დავით გიორგის ძეს ებრძოდა.

კრწანისის ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი მამას – ერეკლე II-ს ედგა მხარში. მან ერეკლეს დავალებით სამეფო ოჯახი არაგვის ხეობაში წაიყვანა და იქ გახიზნა. დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი აოხრებული დედაქალაქის აღდგენას ხელმძღვანელობდა, ზრუნავდა გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად. ზომები მიიღო ქალაქში ყვავილის ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ. გაწეული სამუშაოს შესახებ ალექსანდრე ბატონიშვილი დარეჯან დედოფალს მოახსენებს: „მე ეს მიხარებია, რომ რაც ქალაქში გიახელი, არც კაცი იყო და არც ბოლი სდიოდა, ღვთით და თქვენის ბედნიერებით, თანდათან ივსება... ხიზანი შემოდის“.*

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798 წ. 11 იანვარი) შემდეგ ბატონიშვილებს შორის ბრძოლა ატყდა სამეფო ტახტისათვის. გიორგი XII-მ ტახტის მემკვიდრედ იულონი აღიარა და აიძულა ძმები ერთგულების ფიცი მიეცათ მისთვის. ალექსანდრე ბატონიშვილმა უარი განაცხადა ფიცის მიცემაზე. გიორგიმ მოინდომა ალექსანდრეს შეპყრობა, მაგრამ ვერ მოახერხა – ბატონიშვილმა არაგვის ხეობას შეაფარა თავი. იგი აქედან მცხეთაში მივიდა მალულად, გამოეთხოვა მამის ცხედარს (სვეტიცხოველში იყო დასვენებული) და ბორჩალოში წავიდა. გიორგი XII-ის თხოვნით დარეჯან დედოფალი შეეცადა ძმების შერიგებას, მაგრამ უშედეგოდ. 1799 წლის ივნისში გარსევან ჭავჭავაძემ პეტერბურგიდან ჩამოიტანა საგანგებო სიგელი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ, გიორგი XII-ის თხოვნის შესაბამისად, დავით ბატონიშვილი მტკიცდებოდა. ამან გაანაწყენა ბატონიშვილები და ისინი აუმხედრდნენ გიორგის. ვითარება ახლადშემოსულმა რუსის ჯარმა, რომელიც გიორგი XII-მ მოხერხებულად გამოიყენა, განმუხტა. ალექსანდრე ბატონიშვილი მოითხოვდა, რომ რუსები არ ჩარეულიყვნენ იმ ბრძოლაში, რომელსაც გიორგის წინააღმდეგ ბატონიშვილი ძმები აწარმოებდნენ. ამასთან ისინი არ უნდა შეევიწროებინათ. გენერალ ლაზარევისადმი მიწერილ წერილში იგი იმუქრებოდა – ყველაფერს იმპერატორს მოვახსენებო, ერეკლე II-ის ანდერძის დარღვევას იმპერატორი არ მოიწონებსო.**


გიორგი XII

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წ. დეკემბერი) შემდეგ კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ტახტისათვის. ბატონიშვილები მარტყოფში შეიკრიბნენ. იოანე ბატონიშვილმა რუსის ჯარის შემწეობით ისინი დაარბია. ფარნაოზი შიდა ქართლში გადავიდა, ვახტანგი და იულონი ქიზიყისკენ წავიდნენ. იულონს მირიანის დაპატიმრება მოუხერხებია. ალექსანდრე ბატონიშვილი ყარაბაღიდან მოვიდა და არ შეერთებია ბატონიშვილებს. ვითარების გათვალისწინებით მასაც გარეჯის მონასტრისთვის შეუფარებია თავი. იულონ, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილები, მოთათბირების შემდეგ (ეს მუხრანში მოხდა), იმერეთში გადავიდნენ.

1801 წლის შუა ხანში ნათელი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის ტახტზე მეფეს აღარ სვამდა. დავით ბატონიშვილი მართალია გამგებლად იწოდებოდა, მაგრამ იგი ქვეყნის მართვა-გამგებლობას ჩამოშორებული იყო. ტახტის აღდგენის მცდელობამ ბატონიშვილები ერთმანეთის თანამოაზრეებად აქცია. 1802 წლის თებერვალში ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილი მისწერა დავითს და მხარდაჭერას დაჰპირდა ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში. დარეჯან დედოფალმა, იულონ, ალექსანდრე და დავით ბატონიშვილებმა დახმარების თხოვნით მიმართეს სპარსეთის შაჰს.* ნიშანდობლივია, რომ გენერალი ლაზარევი დაჟინებით მოითხოვდა ბატონიშვილებისაგან, რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ ქართლ-კახეთში. სანამ საქართველოში არ იქნება მეფე ბაგრატიონთა გვარიდან, ფეხს არ შემოვდგამ ქართლ-კახეთშიო – განუცხადებია ალექსანდრე ბატონიშვილს. იგი ბელაქანში ჩავიდა და აქედან წერილი გაუგზავნა საქართველოს მთავარმართებელს პავლე ციციანოვს, სადაც მწვავე პროტესტი გამოთქვა საქართველოს სამეფოს გაუქმების გამო. საპასუხო წერილში ციციანოვი რჩევას აძლევს ალექსანდრე ბატონიშვილს, დაბრუნდეს საქართველოში.

1803 წელს ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები თავრიზში ჩავიდნენ. აქედან ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილები გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს (შესაბამისად მთავარმართებელ ციციანოვსა და გენერალ პეტრე ბაგრატიონსაც), სადაც რუსეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის ისტორიას შეეხო. „ოდესცა მართლმადიდებელნი იმპერატორნი კონსტანტინოპოლისანი ჰფლობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა – აღნიშნავს ალექსანდრე ბატონიშვილი – მას ჟამსა საქართველოთა მეფეთა აქვნდათ მათ მიერ ესე გუარი საფარველი. რომელ საქართველოსანი არცა გარემოთა თვისთაგან არ ჰქონდათ შეწუხება, და მეფენი საქართველოსანი მიილებდნენ მათგან ნიჭსა ურიცხვსა და აქვნდაცა სახლისა მათისა კურაპალატობა, რომელ არს სახლთუხუცესობა და შეწევნითა მათითა ჰფლობდნენ კასპიის ზღვითგან ვიდრე შავს ზღვამდე“.

ამგვარად, ალექსანდრე ბატონიშვილი მოითხოვდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის მიზნის შესრულებას: გარეშე მტრისაგან ქვეყნის დაცვას, სამეფოს გაძლიერებას, საზღვრების გაფართოებასა და არა სამეფოს გაუქმებას.

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრები რუსეთში გადაასახლა. აღშფოთებული ალექსანდრე რუსეთის იმპერატორს შესჩიოდა: „ყოვლად მოწყალე ხელმწიფევ, ნაცვლად კეთილად დაცვისა ეს გვარი დაცვა მიილო სახლმან ბაგრატოვანთამან, რომელ ერთიც ძე ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინა არა თუ უფლად, არამედ არცაღა თუ სახითა ერთისა კეთილშობილისათა... აღვიფხვრენით ქვეყნით ჩვენით, რომელსა შინა განვლო შთამომავლობამ ჩვენმან ათასორას ოცდათოთხმეტი წელნი მეფობასა შინა“. ბატონიშვილი ითხოვდა, რომ დარეჯან დედოფალი არ გაესახლებინათ რუსეთში, მაგრამ ეს მოთხოვნა არ იქნა შეწყნარებული.

ალექსანდრე ბატონიშვილმა, დაინახა რა, რომ რუსეთის ხელისუფლებისგან სასიკეთო არაფერი იყო მოსალოდნელი, ღიად თუ ფარულად დაიწყო ბრძოლა. თვითონ ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

1805 წლის ზაფხულში დარეჯან დედოფალს (იმხანად რუსეთში იმყოფებოდა) გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა (ცხადია იმპერატორის მითითებით) სთხოვა, ერჩია ალექსანდრე ბატონიშვილისათვის საქართველოში დაბრუნება. ეს შესაბამისად ბრძოლის შეწყვეტას გულისხმობდა. დარეჯანის წერილის მიღების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილმა პასუხი არ დააყოვნა: „Если они (т.е. русские) хотят чтоб я приехал к ним то пусть посадят одного из кого нибудь из дому нашего царем и тогда мы приедем и будум служить государю“.*

---

* იხ. შ. ხანთაძე, მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII-B, თბ., 1961, 239-250.

** А. Ерицов, Последний потомок грузинского царского дома, сб, „Вес Кавказ“, Тб., 1903, .№, стр. 45.

*** XIX საუკუნის დასაწყისის ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილის საუფლისწულო მამულების შემოსავალი შეადგენდა 1630 ვერცხლის მანეთს.

* საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1910, გვ. 226-227.

** Акты собранные Кавказскою Археографическою комиссиею. т. 1, Тифл., 1866, გვ. 282-283

* Акты, т. 1, გვ. 685

* Акты..., т. II, Тифл., 1868, стр.375

(გაგრძელება იქნება)

# მან შექმნა უზარმაზარი სამეცნიერო იღვაწა მშობლიური



აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი - 80

## ღრმა და მრავალმხრივი

**მიმდინარე წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა.**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1952 წელს დამთავრების შემდეგ ივერი ფრანგიშვილმა დიდი და მეტად საინტერესო გზა განვლო მართვის სისტემების, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის აღიარებულ სპეციალისტამდე.

მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერმა დაამუშავა პრობლემურად ორიენტირებული გამოთვლითი მანქანები და ახალი თაობის კომპლექსები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მაღალმწარმოებლურობას, საიმედოობას, კომპლექსების ტექნოლოგიურობას.

აკად. ივერი ფრანგიშვილმა ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველთაგანმა განავითარა რა ახალი მიმართულება — მმართველი გამოთვლითი ტელეავტომატური სისტემების თეორია და ტექნიკა, მანვე დააფუძნა საქართველოში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება.

დიდია აკად. ივერი ფრანგიშვილის ღვაწლი სისტემური მიდგომისა და ზოგადსისტემურ კანონზომიერებათა თეორიისა და პრინციპების დამუშავებაში, ბუნების სხვადასხვა მოძრავი ობიექტების გამოვლენისა და გამოცნობის ახალი (ფონურიძ პრინციპების შემუშავებაში, მსხვილმასშტაბიანი ობიექტების განაწილებული სისტემების აგების პრინციპებისა და თეორიული საფუძვლების დამუშავებაში, მრავალპროცესორიანი მმართველი გამოთვლითი სისტემების შექმნაში.

დიდი დამსახურება მიუძღვის ბატონ ივერის სამამულო მეცნიერების წინაშე. გამოჩენილი მეცნიერის ფუნდამენტურმა და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მათი შედეგები ასახულია 400-ზე მეტ გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელთა შორის 15 მონოგრაფიაა. აკად. ივერი ფრანგიშვილი მრავალი აღმოჩენისა და გამოგონების ავტორია. მისი ნაშრომები ძვირფასი შენაძენია მეცნიერებისათვის.

ღრმა და მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, აკად. ივერი ფრანგიშვილი დიდ და მეტად სასარგებლო სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა. 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფართოდ ცნობილ მართვის პრობლემების ინსტიტუტს.

1979 წელს ივერი ფრანგიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. წლების მანძილზე აკად. ივერი ფრანგიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ამ თანამდებობაზე მოღვაწეობისას მან ბევრი მეტად საჭირო და სასიკეთო საქმე გააკეთა აკადემიისა და საერთოდ ქართული მეცნიერებისათვის.

1990 წელს აკად. ივერი ფრანგიშვილი აირჩიეს რუსეთის საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1991 წელს — საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად.

განუზომლად დიდი ამაგი მიუძღვის ბატონ ივერის ქართველ მეცნიერთა აღზრდისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში. მან ბევრ ნიჭიერ ქართველს გაუწია დახმარება და სწორ გზაზე დააყენა ისინი.

აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი მეტად ნაყოფიერ და სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა რუსეთში ქართველთა საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობაზე.

ფასდაუდებელია ქართველი მეცნიერის ღვაწლი რუსეთის მთელ რიგ წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირების გაღრმავების საქმეში.

აკად. ივერი ფრანგიშვილის მთელ ორგანიზაციულ, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ახასიათებდა კოლეგიალობა, პრინციპულობა და პასუხისმგებლობა. მისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი მოქალაქეობრივი თვისებები, უბრალოება, კაცთმოყვარეობა, გულისხმიერება და მზადყოფნა დახმარების აღმოსაჩენად.

**თამაზ გამყრელიძე,**
**აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**

## კაცი, რომლის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია

**80 წელი შესრულდა გამოჩენილი მამულიშვილის, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ტექნიკური მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ფუძემდებლისა და პირველი პრეზიდენტის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის პროფესორ ივერ ვარლამის ძე ფრანგიშვილის დაბადებიდან.**

სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოება უდიდეს პატივს მიაგებს საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარის და მეცნიერის, დიდი ორგანიზატორის ნათელ ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მეცნიერების განვითარებისა და წინსვლის საკაცობრიო საქმეს მიუძღვნა.

ივერი ფრანგიშვილი მეცნიერთა იმ კოჰორტას ეკუთვნის, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ავტომატური მართვის თეორიის, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული განვითარება. მისი ხელმძღვანელობითაა ჩატარებული ფუნდამენტური მეცნიერული კვლევები სისტემური ანალიზისა და სისტემური კანონზომიერებების თეორიის, აგრეთვე დიდგაბარიტიანი ობიექტებისა და მრავალპროცესორული გამოთვლითი კომპლექსების მართვის სისტემების დამუშავებაში. სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა მოუტანეს მას მართვის სისტემების, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის სახელი და ავტორიტეტი.

1979 წელს ი. ფრანგიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1980 წელს მას რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო ტიტული მიენიჭა.

გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ივერი ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი თაობის მაღალწარმადობის მრავალპროცესორული ცვალებადი სტრუქტურის მქონე გამოთვლითი სისტემები და კომპლექსები, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვა გეოფიზიკაში, ჰიდროაკუსტიკაში, კოსმოსური ინფორმაციის დამუშავებასა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის წარმოებაში. სწორედ ამ პერიოდში ბატონი ივერის დიდი თანადგომით ჩაეყარა საფუძველი თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს „ელვასა“ და „ალგორითმს“, რამაც უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, როგორც დარგის დანერგვისა და განვითარების საქმეში. ბატონი ივერის დამსახურებაა ისიც, რომ მისი მზრუნველობითა და ხელშეწყობით მოსკოვში ჩამოყალიბდა ამ დარგის ქართული სამეცნიერო სკოლა.

80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იან წლებში ივერი ფრანგიშვილის მიერ შესრულდა ფართომასშტაბიანი სამუშაოები ატომური ელექტროსადგურებისა და პოტენციურად საშიში რთული ობიექტების მტყუნებამდგრადი მართვის სისტემების აგების თეორიისა და პრინციპების ჩამოსაყალიბებლად. 1985 წელს ივერი ფრანგიშვილი დაინიშნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ატომური ელექტროსადგურების ავტომატიზებული მართვის სისტემების გენერალურ კონსტრუქტორად. ამ მიმართულებით შესრულებულმა სამუშაოებმა ქართველ მეცნიერს თვალსაჩინო საერთაშორისო აღიარება მოუპოვა.

1985-2004 წლებში ბატონი ივერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მაღალ პოსტზე მოღვაწეობდა. 1992 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს საინჟინრო აკადემიას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.



აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი (მარცხნიდან), აკადემიკოსი ვადიმ ტრაპეზნიკოვი მეუღლითურთ და აკადემიკოსი კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი

სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ივერი ფრანგიშვილმა თავის მოწაფეებთან ერთად სხვადასხვა ბუნების მოძრავი ობიექტების გამოვლენისა და ამოცნობის ზოგად-სისტემურ კანონზომიერებათა პრინციპების შესწავლას მიუძღვნა. განხორციელდა მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც „ფონური პრინციპის“ სახელითაა ცნობილი და რამაც ფართო გამოყენება ჰპოვა ფსიქოლოგიის, მედიცინის, ბიოლოგიის, დაცვითი ტექნიკის წარმოებისა და სხვა თანამედროვე მიმართულებებში.

მისი ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კვლევების შედეგები ასახულია 400-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომსა და 15 მონოგრაფიაში. იგი 40-ზე მეტი გამოგონების ავტორია. ბატონი ივერი მრავალი საერთაშორისო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ და საპატიო წევრად იყო არჩეული.

აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი სიცოცხლის ბოლომდე იყო ჟურნალების „მართვის პრობლემებისა“ და „გადამწოდებისა და სისტემების“ მთავარი რედაქტორი.

ბატონი ივერი გამოირჩეოდა საოცარი ანალიტიკური გონებით, განსაკუთრებული უბრალოებითა და უშუალობით. იგი თავისი კაცთმოყვარე ბუნებით ხიბლავდა გარშემომყოფთ. ღვთისაგან მომადლებულ სიბრძნეს გასცემდა უხვად, რითაც საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

2006 წლის 28 თებერვალს შეწყდა დიდი ქართველი მოღვაწის სიცოცხლე.

მან პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ბატონი ივერი ფრანგიშვილის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია.

**მინდია სალუქვაძე**

# მიმართულებანი, თავდადებით ქვეყნისა და ხალხისთვის



აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი სტუმრად პატრიარქთან

## სამუდამოდ მსოფლიო მეცნიერების ისტორიის დიდ წიგნში

**ძალიან ძნელია ილაპარაკო წარსულში ადამიანზე, რომელთანაც ათეული წლების სამეცნიერო-შემოქმედებითი და ყოველდღიური საქმიანობა გაკავშირებდა. ძალიან ძნელი აღმოჩნდა ივერი ვარლამის ძის გარეშე, ამბობენ „დრო ყველაფრის მკურნალიაო“, მაგრამ მერწმუნეთ, რომ რაც დრო გადის, მით მეტად მტკივნეულად განვიცდით დიდი ხელმძღვანელისა და სულიერი მეგობრის წასვლას ჩვენგან.**

ძვირფასი ივერი ვარლამის ძის დაბადებიდან 80 წლისთავის აღნიშვნა სავსებით კანონზომიერია და უფრო მეტიც, იგი წარმოადგენს XX საუკუნის ამ სახელოვანი მოქალაქისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ჭეშმარიტ გამოხატულებას, იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა გასწია თავისი ეპოქის ცივილიზაციის საკეთილდღეოდ.

შეუფასებელია ივერი ვარლამის ძის დამსახურება მართვის სისტემების,ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და მიღებული უნიკალური შედეგების დანერგვის საქმეში. მას სავსებით კანონზომიერად მიიჩნევენ მსოფლიოში მართვის სისტემების სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ლიდერად.

ივერი ვარლამის ძის მოწაფეები გამოვხატავთ გულწრფელ პატივისცემასა და უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი დიდი მასწავლებლისადმი დიდი თანადგომისა და დახმარებისათვის.

აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სახელი სამუდამოდ ჩაეწერა მსოფლიო მეცნიერების ისტორიის დიდ წიგნში. ჩვენ ვამაყობთ, რომ წილად გვხვდა ბედნიერება გვემუშავა მის გვერდით და მისი ხელმძღვანელობით. ბატონი ივერი ვარლამის ძის ხსოვნა წარუშლელია ჩვენი მეხსიერებიდან.

უღრმესი პატივისცემით

**სტანისლავ ვასილიევი,**
**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი**

## უდიდესი მკვლევარი

**საერთაშორისო საინჟინრო აკადემია გულწრფელად მიესალმება აკადემიკოს ი. ვ. ფრანგიშვილის 80 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“ მონაწილეებს.**

ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია არის საზოგადოების მხრიდან ღვაწლის აღიარება მართვის პროცესების და სისტემების, ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის დარგში.

ი. ვ. ფრანგიშვილი გამოთვლითი ტექნიკის სფეროში უდიდესი მკვლევარი იყო; მის მიერ დამუშავებული პოტენციურად სახიფათო ობიექტების სისტემის თეორიით, ატომურ ელექტროსადგურებთან ერთად ფართოდ გამოიყენება საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებში.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, რომელსაც წლების მანძილზე ი. ფრანგიშვილი მართავდა, იყო და რჩება ისეთ წამყვან სამეცნიერო კვლევით ცენტრად, სადაც მუშავდებოდა მაღალმწარმოებლური მართვითი გამოთვლითი სისტემები, რომელთაც ფართო გამოყენება ჰპოვეს გეოფიზიკაში, ჰიდროაკუსტიკაში, კოსმოსური ინფორმაციის და ეკონომიკის სხვა დარგების დამუშავებისას.

ი. ვ. ფრანგიშვილი, იყო რა საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და საქართველოს მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრი, უცვლელად ედგა სათავეში საქართველოს საინჟინრო აკადემიას და დიდი წვლილი შეჰქონდა მრავალი ქვეყნის საინჟინრო თანამეგობრობის კონსოლიდაციის საქმეში.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენი კონფერენციის მიერ გამომუშავებული რეკომენდაციები იქნება მძლავრი იმპულსი საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგისათვის.

კონფერენციის მონაწილეებს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს, კეთილდღეობას და ყოველივე კარგს თავიანთ საქმიანობაში.

**ბორის გუსევი,**
**საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, სსრკ-ს და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის და რუსეთის ფედერაციის პრემიის ლაურეატი**

## იგი მუდამ ჩვენთან იქნება თავისი მეცნიერული იდეებით

**ორი ათეული წელი ივერი ვარლამის ძე სათავეში ედგა მსოფლიოში გამორჩეულ და წარმატებულ ინსტიტუტს და ღირსეულად ატარებდა მისი დამაარსებლის, აკადემიკოს ვადიმ ალექსანდრეს ძე ტრაპეზნიკოვის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს.**

50 წელზე მეტი იღვაწა აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა მართვის პრობლემათა ინსტიტუტში და მან როგორც მეცნიერების დიდმა ორგანიზატორმა, საფუძველი ჩაუყარა ახალ ფუნდამენტურ სამეცნიერო მიმართულებას. მართვის პრობლემების დარგში მისი საერთაშორისო ავტორიტეტი დღესაც დიდი ძალაა ჩვენი სამეცნიერო სკოლებისათვის და ასედაც დარჩება იგი ათეული წლების მანძილზე.

ძალიან გვაკლია ივერი ვარლამის ძე, თუმცა იგი მუდამ ჩვენთან იქნება თავისი მეცნიერული იდეებით, რასაც მომავალი თაობები სათუთად შეინახავენ და განახორციელებენ.

ჭეშმარიტად ბედნიერია ივერი ვარლამის ძე, რომ იგი განისვენებს თავის მშობლიურ მიწაში.

ნათელი და დიდება მის უკვდავ სახელს.

ღრმა პატივისცემით

**ვლადიმერ ბურკოვი,**
**რობერტ ბაბაიანი**
**აკადემიკოსები**

## დიდი მოაზროვნე

**გთხოვთ, მიიღოთ ჩემი მადლიერება იმასთან დაკავშირებით, რომ საშუალება მომეცა მონაწილეობა მივიღო გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება და მართვა“.**

მე წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი მემუშავა ბატონი ივერის გვერდით, ჩამეტარებინა ურთულესი კვლევები მისი ბრძნული რჩევებითა და დარიგებებით. იგი ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნე და საოცრად ანალიტიკური გონების ადამიანი გახლდათ.

უღრმესი პატივისცემით

**მიხეილ ზგუროვსკი,**
**უკრაინის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი**

## ბრძენი მასწავლებელი და მოძღვარი

**უფლის წყალობით ჩვენი ცხოვრებისეული გზები გადაიკვეთა ისეთ დიდ მეცნიერთან და კეთილშობილებით სავსე პიროვნებასთან, როგორიც იყო აკადემიკოსი ივერი ვარლამის ძე ფრანგიშვილი. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენ გვქონდა საშუალება თვალი გვედევნებინა მისი მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, რამაც უდიდესი აღიარება მიიღო საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ.**

1956-1960 წლებში საქართველოში სწრაფი ტემპით შენდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიუროები, საცდელი ქარხნები, ელექტრონული-გამოთვლითი მანქანების, ანალიტიკური ხელსაწყოების, მიკროელექტრონიკის, რადიომოწყობილობათა და სხვა სახის მოწყობილობათა დასამზადებლად.

ივერი ფრანგიშვილის კეთილშობილური მისია კომპიუტერული მეცნიერებისა და მრეწველობის განსავითარებლად და ამ მიმართულებით სათანადო სამეცნიერო-საინჟინრო კადრების აღსაზრდელად წარმატებით დაგვირგვინდა. ბატონი ივერის მიერ ამ პერიოდში შექმნილი სამეცნიერო მონოგრაფიები დარგის სპეციალისტთა და სტუდენტთა სამაგიდო წიგნებად და სახელმძღვანელოებად იქცნენ.

1994-1995 წ.წ. ი. ფრანგიშვილის მიერ დამუშავებული იქნა „საქართველოს გადარჩენის პროგრამა“, რომელიც სამწუხაროდ არ იქნა რეალიზებული. იგი ყოველმხრივ ცდილობდა იმ იდეების ამოქმედებას და განხორციელებას, რაც გადაარჩენდა საქართველოს და გამოიყვანდა მას კრიზისული მდგომარეობიდან. ამ მიზნით ბატონო ივერის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საზოგადოება „რეფორმატორთა კავშირს“, სადაც ქვეყნის ინტელექტუალური ელიტა გაერთიანდა.

> ***ბატონი ივერი დღენიადაგ ზრუნავდა სახელმწიფოს მართვის ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად არსებული ინტელექტუალური რესურსების, აკადემიური ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრაციისათვის. ამ საქმეში იგი ნამდვილი ლიდერი იყო.***

სახელმწიფო, რეგიონი, ქალაქი – ურთულესი სისტემებია, რომლებიც ე.წ. „დიდ სისტემებს“ განეკუთვნებიან. ძალიან რთულია მათი მართვა. სწორედ ასეთი სირთულეების მართვის პრობლემების გადაწყვეტასთან იყო ი.ფრანგიშვილის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა დაკავშირებული.

ბატონი ივერი დღენიადაგ ზრუნავდა სახელმწიფოს მართვის ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად არსებული ინტელექტუალური რესურსების, აკადემიური ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრაციისათვის. ამ საქმეში იგი ნამდვილი ლიდერი იყო.

ბატონო ივერის ცხოვრების ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე და ურთიერთპატივისცემა დამყარდა მის უწმინდესობასთან და უნეტარესობასთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია II, რომლის ლოცვა-კურთხევით და ბატონი ივერის თავკაცობით საქართველოს სინამდვილეში პირველად მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“, სადაც კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს მისი მოხსენება: „მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთდამოკიდებულებანი“.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბატონი ივერისა და მისი მოწაფეების დიდი ძალისხმევით აღდგენილ იქნა და მოქმედებს ცხვარიჭამიის მამათა მონასტერი.

ღვთისმშობლის დაუჯდომლის ლოცვაში არის ასეთი ფრაზა: „გიხაროდენ, სიტყვახელოვანთა უსიტყვობისა მამხილებელო“. ამ სიტყვების არსი ისაა, რომ უწმინდესი სილამაზისა და უზენაესი ზნეობის სიტყვით გამოხატვა შეუძლებელია იყოს იმის ადეკვატური, რაც თავად დედა ღვთისა გახლავთ.

ჩვენი დიდი მასწავლებელი და მოამაგე ბატონი ივერი ფრანგიშვილი სულიერად ჩვენთან არის. დაბადებიდან მე-80 წლისთავის აღნიშვნის დღეებში მის მოწაფეებსა და თანამოაზრეებს გვიწევს დაფიქრება იმ დიდ გზაზე, რომელიც ნიჭიერებით გამორჩეულმა და კეთილშობილმა კაცმა გაიარა.

**ივანე გორგიძე,**
**გივი აბდუშელიშვილი,**
**გურამ ჯავახაძე,**
**ზურაბ გასიტაშვილი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით საქართველო თავის პოზიციაზე უარს არ ამბობს

**საქართველო გააგრძელებს თავის პოზიციას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით იმდენ ხანს, რაც საჭირო იქნება, განაცხადა სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში**

როგორც ამ სავაჭრო ბლოკის წევრს საქართველოს შეუძლია ვეტო დაადოს რუსეთის შესვლას, რომლის განაცხადსაც უკვე რამდენიმე წელია განიხილავენ. მაგრამ საქართველოს ამგვარმა მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს მისი მოკავშირის ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილება, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც მოსკოვთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ გეგმის ნაწილადაა მიჩნეული.

2008 წელს მოხდა ხანმოკლე შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის და ახლა თბილისი აცხადებს, რომ მოსკოვი არ უნდა მიიღონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მანამ, სანამ იგი არ დათანხმდება, დადოს ხელშეკრულება საბაჟო კონტროლის შესახებ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარზე ორ ქვეყანას შორის.

„ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ დიდ სურვილს რუსეთის მხრიდან, განიხილოს ჩვენთან ერთად ეს თემა“, – განაცხადა სააკაშვილმა ინტერვიუში შეკითხვაზე საქართველოს პოზიციის შესახებ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით.



„ჩვენ მზად ვართ სერიოზული, საგნობრივი განხილვისთვის ამ საკითხებისა, თუმცა ჩვენ გვაქვს ზოგიერთი შეკითხვები, რომელთა უპასუხოდ დატოვება არ შეგვიძლია და ეს საკითხებიც თავისთავად არ გადაწყდება“, – აღნიშნა მან.

„მიმაჩნია, რომ საქართველოს საკითხი ღიად რჩება. ჩვენ ერთგული ვიქნებით ჩვენი პრინციპებისა მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება“, – აღნიშნა სააკაშვილმა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კულუარებში. ფორუმი ეძღვნება ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის პრობლემას, იგი მიმდინარეობს მაროკოს ქალაქ მარაკეშში.

რუსეთი მოლაპარაკებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით აწარმოებს უკვე 17 წელიწადია, და ეს უდიდესი ეკონომიკა რჩება ამ დიდი ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, რომელიც შედგება 153 სახელმწიფოსგან და რომელიც გვევლინება, როგორც არბიტრი გლობალური სავაჭრო დავების გადაწყვეტის დროს.

საკითხში რუსეთის განაცხადთან დაკავშირებით უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში შეინიშნება ერთგვარი პროგრესი მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მხარი დაუჭირა რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ობამას ადმინისტრაციის თანამშრომლები აცხადებენ, რომ სურთ „განტვირთონ“ რუსეთთან ურთიერთობა მას შემდეგ, რაც კავშირურთიერთობანი ამ სახელმწიფოებს შორის წინა ადმინისტრაციის მუშაობის დროს დაეშვა ყველაზე დაბალ დონეზე ცივი ომის დამთავრების მომენტიდან, და ეს მოხდა აზრთა სხვადასხვაობის გამო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემასთან, ერაყთან და საქართველოს ომთან დაკავშირებით.

REUTERS

# საქართველოს პანკავკასიური მისწრაფებანი

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს განაცხადა, რომ საქართველო ცალმხრივი წესით გააუქმებს სავიზო რეჟიმს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის. დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთი ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეის რესპუბლიკის მცხოვრებლებს შეუძლიათ ჩავიდნენ საქართველოში 90 დღემდე პერიოდით ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლებების გვერდის ავლით, რომლებიც კიდევ უფრო გართულდა მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არქონის გამო, რაც შეწყდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ**

ეს გამარტივება, ქართველების აზრით, საჭიროა იმისთვის, რომ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების მცხოვრებლები არ გრძნობდნენ თავს უკანონოდ, მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ეს მანევრები სჭირდება საქართველოს, რათა მოიპოვოს ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების სიმპათიები, იმ ხალხისა, რომელსაც ყოველთვის როდი უხარია მოსკოვის ბატონობა (რაც გვიჩვენა ჩეჩნებთან ორსაუკუნოვანმა ომმაძ.

თბილისის ეს „პანკავკასიური“ მცდელობანი, როგორც ჩანს, დასტურდება მიხეილ სააკაშვილის სიტყვით, რომელიც მან წარმოთქვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სექტემბერში, სადაც საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ „არ არსებობს ჩრდილოეთი კავკასია და სამხრეთი კავკასია, არამედ არის ერთიანი კავკასია“. ამას გარდა, საქართველომ განაცხადა, რომ მალე გახსნის სატელევიზიო არხს რუსულ ენაზე, რომელიც გამიზნული იქნება ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების პოტენციური ტელემაყურებლებისთვის.

ის, რომ საქართველო ოცნებობს გახდეს ქვეყანა, რომელიც სათავეში ჩაუდგება „კავკასიის ფედერაციას“, ახალი ამბავი როდია, ეს ამბიციები მომდინარეობს, სულ ცოტა, მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ 1917 წელს, როდესაც ახლახან ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საქართველო ეძებდა იმპერიული გერმანიის დახმარებას, რათა სათავეში მოქცეოდა კავკასიელი ხალხის ფედერაციას. ეს მცდელობანი ჩავარდა ცენტრალური სახელმწიფოების კრახისა და საქართველოს ანექსიის გამო ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირის მიერ.

კავკასიური რესპუბლიკის რეგიონალური ამბიციები განახლდა მეორე იმპერიის, საბჭოთა კავშირის დაშლის მეორე დღესვე, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ყოფილმა დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საფუძველი დაუდო ნაციონალისტურ და „პანკავკასიურ“ პოლიტიკას, რომელიც, ერთი მხრივ, აქტიურად უჭერდა მხარს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის აქტიურ მისწრაფებას დამოუკიდებლობისკენ, მეორე მხრივ, ახშობდა საქართველოს საშინაო უმცირესობათა ავტონომიას: ოსების, აფხაზებისა და სომხებისა. გამსახურდიას დამანგრეველმა პოლიტიკამ, ვინც ხელისუფლებას ჩამოაშორეს 1993 წელს გადატრიალების შედეგად, რომელიც მოხდა მოსკოვის მხარდაჭერით, როგორც ეს უნდა გვევარაუდა კიდეც, ზიანი მიაყენა საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას. ამ უკანასკნელმა აღარ დააყოვნა ჩართულიყო პოლიტიკურ თამაშში, გადმოიბირა თავის მხარეს სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი. ასე ჩაეყარა საფუძველი რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტს 2008 წლის აგვისტოში.

მოსკოვის გადაწყვეტილებამ 2008 წლის ომის შემდეგ ეღიარებინა ცალმხრივად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, არ შეამსუბუქა კავკასიური კონფლიქტების გადაწყვეტა, შეიქმნა პრეცედენტი ანალოგიური მოთხოვნებისთვის რეგიონის სხვა ქვეყნებში. ნებისმიერ შემთხვევაში, თავისი „პანკავკასიური“ მიდრეკილებების შესახებ სააკაშვილმა განაცხადა კავკასიური პოლიტიკისთვის ყველაზე უარეს მომენტში, რომელიც აღინიშნა ისეთი სისხლიანი ტერორისტული აქტებით, როგორიცაა ჩეჩნეთის პარლამენტზე თავდასხმა 19 ოქტომბერს და სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის საერთო კლიმატი, რაც გართულდა მუდმივი დაშინებით ისლამური ტერორიზმის მხრიდან.

ევროპამ და იტალიამ, პირველ რიგში, არ უნდა შეწყვიტონ დიალოგი რუსეთთან და ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან, რათა ევრაზია გახდეს კოოპერაციის, უშიშროებისა და განვითარების ზონა და არა ბრძოლის არენა იმპერიული და მიკროიმპერიული მიდრეკილებების ანაქრონული მხარდაჭერისთვის, რაც 21-ე საუკუნეში ხელს აძლევს მხოლოდ დესტრუქციულ ძალებს. ამ ძალებს არ აინტერესებთ პანევროპული და ევროაზიული თანაფარდობის შექმნა. ისლამური რელიგიური ექსტრემიზმი, ვაჭრობა ნარკოტიკებით და მსოფლიოს სამხრეთ რეგიონებზე დემოგრაფიული პრესი – მოითხოვენ ერთ პასუხს როგორც ბრიუსელში, ისე მოსკოვში, ისე თბილისში.

RAGIONPOLITICA.it

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ აცხადებს აუქციონს ამორტიზირებული და გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების რეალიზაციაზე.**

| № | დანადგარის დასახელება | მოდელი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი დ.ღ.გ.-ს გარეშე ლარებში |
|---|---|---|---|---|
| 1 | 250მ კომპრესორი (კომპრესორი, ძრავი, მართვის ელ.სისტემა, ქურო) | K-250M | 1988 | 40 000 |
| 2 | 1,5ტ ფოლადის სადნობი ღუმელი | ДСП1,5 | 1975 | 53 000 |
| 3 | მრუდხარა წნეხი | KD2124 | 1980 | 738 |
| 4 | წნევის ქვეშ ჩამომსხმელი მანქანა | KUASU 260/100 | 1983 | 1 440 |

აუქციონში მონაწილეობის უფლება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი „ბე“ (საწყისი ღირებულების 10 პროცენტიძ, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101502, სს „ელმავალმშენებელი“, ანგარიშის ნომერი: 340698102000103300000.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდიძ კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10.00-დან 15.00 საათამდე (ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შეობის III სართულიძ.

**აუქციონი გაიმართება 2010 წლის 18 ნოემბერს 15.00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული. აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება შესაძენი ობიექტის დასახელების ჩვენებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისაძ.

**დამატებითი ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ: ტელ: 65-31-36, 877 48-80-10, 65-10-34, 877 55-10-34.**

სს „ელმავალმშენებლის“ მუდმივმოქმედი სატენდერო და სააუქციონო კომისია.

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა აკვალანგისტმა მოიგერია ზვიგენი კამერით, ამ დროს ვიდეოს გადაღება არ შეუწყვეტია**

ინციდენტი მოხდა მენის შტატის სანაპიროზე. 30 წლის სკოტ მაკნიკოლი წყალქვეშა გადაღებას აწარმოებდა, როდესაც მოულოდნელად დაინახა თავის წინ უზარმაზარი ღია ხახა ბასრი კბილებით. კაცი არ დაიბნა და ზვიგენს ჩაარტყა ვიდეოკამერა, რომელმაც დააფიქსირა ბრძოლისა და სასწაულებრივი გადარჩენის მომენტი.

* * *

**ცუნამი ინდონეზიაში: დაღუპულია 400-ზე მეტი, ზღვასა და ჯუნგლებში დაიკარგა კიდევ 300 კაცი**

დაკარგულების ცოცხლად პოვნის იმედები თითქმის აღარ არსებობს. სამი მეტრის სიმაღლის ტალღამ, ეტყობა, დაკარგულები ღია ზღვაში გაიტაცა. მაშველებმა თვითმფრინავის ბორტიდან დაინახეს ბევრი სხეული ოკეანეში. ადგილობრივი მცხოვრებლები იტყობინებიან, რომ ჯერ კიდევ პოულობენ ჯუნგლებში დაღუპულთა სხეულებს, სადაც ისინი ძლიერმა ტალღამ გაიტაცა.



* * *

**ამერიკელმა ასტრონომებმა დაინახეს, თუ როგორი იქნება სამყარო 10 ათასი წლის შემდეგ**

მათ შექმნეს 100 ათასზე მეტი სხეულის ევოლუციის კომპიუტერული მოდელი ცენტავრის თანავარსკვლავედში. ვარსკვლავთა მსუბუქი გადაადგილების დასაანგარიშებლად დასჭირდათ რთული კომპიუტერული პროგრამები და გამოთვლითი ოპერაციების მაღალი სიჩქარე.

* * *

**ისტორიამდელმა ადამიანმა დანისა და შუბის გალესვა გაცილებით ადრე ისწავლა, ვიდრე მიაჩნდათ**

საგნების ლესვა ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ისწავლეს სულ ცოტა 75 ათასი წლის წინათ – ესე იგი, სულ ცოტა, 50 ათასი წლით ადრე, ვიდრე ამას მეცნიერები ვარაუდობდნენ. მაშინვე ადამიანმა მოიფიქრა, რომ მასალების დამუშავებისთვის საჭიროა მათი გახურებაც.

* * *



**მეცნიერებმა გამოიგონეს სხვათა აზრების კითხვისა და სიზმრების ხილვის საშუალება**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ტვინის ინდივიდუალური ქსოვილების აქტიურობა ასოცირდება გარკვეულ საგნებთან და სახეებთან. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ, როდესაც მოხალისე, მაგალითად, ფიქრობდა მერლინ მონროზე, მის ტვინში აქტიური ხდებოდა კონკრეტული ნეირონი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია

**მკითხველს თავიდანვე შევახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის 23 ოქტომბრის ნომერში შთამბეჭდავრუბრიკიანი მთელი გვერდი — „დიდი მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი“ მიეძღვნა აკადემიკოს გიორგი ციციშვილის დაბადებიდან 95 წლისთავს, სადაც ფართოდ იყო გაშუქებული გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსის სახელოვანი ცხოვრება და მოღვაწეობა.**

27 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიისა და იმისი ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების ეგიდით გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი.

შეკრებილნი ფეხზე ადგომითა და გულითადი ტაშით მიესალმნენ მხცოვან ღვაწლმოსილ სწავლულს. შესავალი სიტყვის შემდეგ აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ძვირფას იუბილარს საუკეთესო სურვილებით გადასცა მთელი აკადემიური საბჭოს ხელმოწერილი მისალოცი ადრესი.

ფორუმზე მოვისმინეთ შემდეგი მეცნიერული მოხსენებები: „აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — აკადემიკოსი თეიმურაზ ანდრონიკაშვილი; „აკადემიკოს გიორგი ციციშვილის შრომები თეორიულ ქიმიაში“ — აკადემიკოსი კოხტა ჯაფარიძე;



„აკადემიკოს გიორგი ციციშვილის შრომები ცეოლითების დარგში“ — აკადემიის წევრი ვლადიმერ ციციშვილი (აქვე სათქმელად, ბატონი გიორგის ვაჟიძ. წაკითხული დიდ ეკრანზე იყო გასაჩინოებული.

მოხსენებებს სხვა სპეციალისტთა გამოსვლებიც მოჰყვა.

**თამაზ ეზანოიძე**

# შეხვედრა გამოჩენილ თანამემამულესთან — უზბეკეთის აკადემიის წევრთან




**ოქტომბრის თვეში აკადემიაში ჩასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაში თვის მიწურულისათვის ასეთი პუნქტი იწვევდა გამორჩეულ ინტერესს: „უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ედვარდ რთველაძის შეხვედრა სმეა-ის პრეზიდენტთან, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრებთან, სამეცნიერო წრეებთან და მისი ნაშრომის პრეზენტაცია“.**

ედვარდ ვასილის ძე რთველაძის ეს სტუმრობა უკვე შედგა აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში უშუალოდ აკადემიის პრეზიდენტის, თამაზ გამყრელიძისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, როინ მეტრეველის მასპინძლობით და როგორც მოსალოდნელი იყო, ერთობ საგულისყუროც გამოდგა.

**ინფორმაცია განსჯისთვის:** ედვარდ რთველაძე 1942 წელს დაიბადა ქალაქ ბორჯომში, მოსამსახურე ვასილ რთველაძის ოჯახში. 1946-ში ოჯახი კისლოვოდსკში გადასახლდა, სადაც ედვარდმა №14 საშუალო სკოლა დაამთავრა 1959 წელს.

ის სკოლაშივე გაიტაცა არქეოლოგიამ და 1962 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში რამდენიმე ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. 1962-1967 წლებში სწავლობდა ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე შეუდგა მეცნიერულ მუშაობას. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

შუა აზიის, ცენტრალური აზიის, შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიასა და არქეოლოგიაში გამოქვეყნებული აქვს 800-ზე(!ძ მეტი შრომა, რომელთა შორის არაერთი ითარგმნა და გამოვიდა ავსტრიაში, ინგლისში, საქართველოში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, აშშ-ში და ბევრგან სხვაგან (შუა აზიის რესპუბლიკებსა და სამშობლოდ ქცეულ უზბეკეთში — თავისთავადძ.

1995 წელს პროფესორი ედვარდ რთველაძე უზბეკეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს, ხოლო 2010 წელს, ქვეყნის პრეზიდენტის სიით — სენატის (პარლამენტისძ წევრად. უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ედვარდ ვასილის ძეს მილებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია როგორც უზბეკეთში, ისე საზღვარგარეთ (საქართველოდან — ღირსების ორდენიძ; არჩეულია უცხოური აკადემიებისა და საზოგადოებათა წევრად.

მკითხველისთვის ესოდენ პატივსაცემი პიროვნების, ძვირფასი თანამემამულის „ყურძნული“ ქართული გვარის (როგორც თვითონაც დაადასტურაძ მატარებელი კაცის წარდგენის შემდეგ აკადემიაში შეხვედრას მივუბრუნდეთ.

აკადემიკოსების თამაზ გამყრელიძისა და როინ მეტრეველის გულთბილი მისალმებების და უზბეკი აკადემიკოსის ედვარდ რთველაძის არანაკლებ გულითადი პასუხის შემდეგ სტუმარმა წაიკითხა ერთობ შინაარსიანი მოხსენება „დიდი ინდური გზა: ინდოეთი — შუა აზია — ამიერკავკასია“, რომელმაც დამსწრე სპეციალისტთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

— ჩვენ შვიდი წლის ნაცნობები ვართ, არ ვწყვეტთ კონტაქტებს. ძალიან სოლიდური მკვლევარია, ძალიან მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ასზე(!ძ მეტში, იღებდა მონაწილეობას, ბევრს ხელმძღვანელობდა კიდევაც.

სატრანზიტო გზების პრობლემან ფრიად მნიშვნელოვანია ისტორიისათვის. აბრეშუმის დიდი გზის პარალელურად ედვარდ რთველაძემ ყურადღება მიაპყრო ინდოეთის დიდ გზას და დიდი რუდუნებით შეისწავლა და გამოიკვლია, გამოიყენა რა არქეოლოგიური, ეთნოლოგიური დიდძალი მასალა და მრავალფეროვანი და სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყაროები, — გვითხრა შემდგომ კერძო საუბარში ბატონმა როინმა.

მასპინძლებმა და სტუმარმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს, საჩუქრებს შორის იყო „ქართლის ცხოვრების“ ორტომეული ქართულ და რუსულ ენებზე.

იმსჯელეს საქართველოსა და უზბეკეთის აკადემიებს შორის შემდგომი კავშირის გაღრმავებაზე — შედგენილია სათანადო მემორანდუმის პროექტი ქართულ, უზბეკურ და ინგლისურ ენებზე, რომლის ორმხრივი რატიფიცირების შედეგად კონტაქტები კიდევ უფრო განმტკიცდება.

...ნაშრომის „დიდი ინდური გზა: ინდოეთი — შუა აზია — ამიერკავკასია“ პრეზენტაცია ფრიად წარმატებული გამოვიდა. აკადემიის პრეზიდენტმა სთხოვა სტუმარს მისი მომზადება თბილისში გამოსაქვეყნებლად. აქვე სათქმელად, ბატონმა თამაზმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა დამსწრეთ მისი წინადადება ტერმინის „ამიერკავკასია“ შეცვლის თაობაზე „სამხრეთ კავკასიით“...

**თამაზ ილმელი**

წარდგენა

# „ლამარას წერილებმა“ საქართველომდე ჩამოაღწია

**საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა შეხვედრა ქართველ მკითხველსა და გერმანელ მწერალ (იგი, ასევე, ფსიქოთერაპევტია) ჰელგა კურცხალიას შორის — მისი ბოლო წიგნის წარდგენა გაიმართა. თუმცა მწერალი ქალის ვიზიტი საქართველოში, უშუალოდ ამ ფაქტს არ უკავშირდება. ის გახლავთ ქართველის — თემურ კურცხალიას მეუღლე და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მისთვის მეორე სამშობლოა.**

ავტორმა თავად წაიკითხა ნაწყვეტები ახალი რომანიდან „ლამარას წერილები“ (ქვესათაური „კომუნიზმის დაისის შესახებ“ძ. კითხვაზე: — რა იყო მიზეზი, რამაც უბიძგა მწერალს ამ თემაზე წიგნის დასაწერად, მან უპასუხა: „ორ ქვეყანაში მიხდებოდა ცხოვრება, რამაც ძალიან დამაფიქრა, ერთმანეთს ვადარებდი და მინდოდა ორივე მხარე ამესახა. ცხადია, ამისთვის გარკვეული პერიოდი დამჭირდა... რომანში ჩემი რეალური ცხოვრებაა აღწერილი, ავსახე რაც მესმოდა, რაზეც ვსაუბრობდით, თუმცა ეს არ არის დოკუმენტური პროზა, ყველა წერილი ფიქტიურია... ეს უფრო პოეტური წერილების რომანია, მთავარია ასახო ის, რაც სულს გტკენს“.

წერილებს, რომლებიც თბილისსა და ბერლინს შორის იგზავნება, მწერლის ავტობიოგრაფიული შტრიხები უდევს საფუძვლად და მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ვითარებას გადმოსცემს. ნაწარმოები გამოცემულია გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მწერალს დიდი სურვილი აქვს, რომ ნაშრომი ქართულადაც ითარგმნოს.

**სოფო გაბისონია, ეკა ლორია,**
**სტუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტები**

ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ

# ერთმანეთში ნუ ავურევთ ფირალსა და სამშობლოსთვის თავდადებულ პატრიოტს!

***ჩვენი გაზეთის აჭარა-გურიის საკორესპონდენციო ბიუროს ამ დღეებში ესტუმრა აჭარაში მოქმედი გაბაიძეთა საგვარეულო ორგანიზაციის ათამდე წევრი. მათი უკმაყოფილება გამოუწვევია „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამა წლის 16 აპრილის ნომერში დაბეჭდილი წერილის „უკანასკნელი ფირალის“ თანმხლებ სურათს, რომელზეც გამოსახულია ჩაქურაში გამოწყობილი სამი შეიარაღებული მამაკაცი. ამ სურათის დედანი ოდითგანვე ინახება აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და მას გურულ ფირალებთან არავითარი ისტორიული კავშირი არ აქვს. იგი აჭარის, კერძოდ, ამ კუთხის ერთგულ მამულიშვილთა ხიმშიაშვილების დამპყრობთაგან სამშობლოს გამოხსნისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიის ნაწილია.***

***ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სერგო დუმბაძეს.***

— დიახ, ვიცი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა/წ 16 აპრილის ნომერში რუბრიკით „ეს ჩვენი ისტორიაა“ გამოქვეყნებულია ბატონ დურმიშხან ცინცაძის წერილი სათაურით „უკანასკნელი ფირალი“. მასში ლაპარაკია ცნობილ ფირალებზე. დასახელებული არიან სიმონა დოლიძე, სისონა დარჩია, დათიკო შევარდნაძე, აქვე საუბარია ჩოხატაურის რაიონის სურებელ (ჩოხატაურის რაიონიძ ასლან ბარამიძეზე, რომელიც შვიდ წელიწადს სურების ტყეში იმალებოდა. 1947 წლის მარტის ბოლოს მშიერ-მწყურვალი და სიცივისაგან გათოშილი ესტუმრა ცალკე მცხოვრებ ახალგაზრდას გაიოზ ბარამიძეს. მასპინძელმა სტუმარი მოკლა თავისივე სახლში. მისი ცხედარი ჩოხატაურის რაიონის მილიციის შენობის წინ დაასაფლავეს. მკვლელი კი სოფელმა თავიდან მოიშორაო, ნათქვამია წერილში. შინაარსის მიმართ პრეტენზია არ გვაქვს. ეს სპეციალისტების საქმეა.



ჩვენი გაკვირვება გამოიწვია სურათმა, რომელიც ყოველგვარი კომენტარისა და მინიშნების გარეშე მოთავსებულია ტექსტის შუაში. მკითხველი სურათზე გამოსახულ პიროვნებებს ძალაუნებურად აღიქვამს, როგორც ფირალებს, სამშობლოს მოღალატეებს, ან დეზერტირებს, ხოლო იმ მკითხველების, ვინც იცის ეს სურათი და იცნობს მასზე გამოსახულ პიროვნებებს, ან იმათი ნათესავების თუ მეზობლების გაოცებას, გაკვირვებას, გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს, რადგან გამოდის რომ ისინი ფირალები, სამშობლოს მოღალატენი არიან, რაც აბსოლუტური სიცრუეა, ისტორიული პიროვნებების შეურაცხყოფაა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიული პიროვნებების რელიკვიადქცეულ სურათს ყოველგვარი კომენტარის, გვარების მოუხსენიებლად წარამარა იყენებს სხვადასხვა ავტორი. ეს სურათი გურულ ფირალებად უფრო ადრეც მონათლეს სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც: გაზეთი „კვირის პალიტრა“, 28 ივლისი — 3 აგვისტო, 2003ძ; 2ძ გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, №1 2004,ძ, 3ძ „თანამემამულე“ (უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა პერიოდული გამოცემაძ, 2006 წლის იანვარ-მარტი; იქ ეს პიროვნებები ლაზებად არიან მოხსენიებული.

საარქივო მასალების, სამუზეუმო ექსპონატების გაცნობის, ამასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის (დ. ხოზრევანიძე, „სკოლა მთაში“, ბათუმი, 1959ძ, ქედის რაიონის სოფელ ვაიოს და ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის (საიდანაც არიან ისინი და სადაც იმათი საფლავებიცააძ მცხოვრებ გაბაიძეთა, ბერიძეთა, აბაშიძეთა, ცეცხლაძეთა, სურმანიძეთა და სხვათა დასტურით, სათანადო კომენტარებით პასუხი გაცემულია პროფესორ სერგო დუმბაძის ნაშრომში „სახელოვანი ხიხანელი“ (რომელიც ეძღვნება აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, სკოლის ყოფილი დირექტორის მ. გაბაიძის ცხოვრება-მოღვაწეობას, გაბაიძეთა გვარის და ხიხაძირის ისტორიას, თბ. 2008 გვძ. ეს წიგნი თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიცააძ.

სურათზე გამოსახული პიროვნებები არც ლაზები არიან, არც ფირალები. ისინი არიან აჭარის მმართველის შერიფ ხიმშიაშვილის თანამებრძოლები, რომლებიც იბრძოდნენ აჭარის გათავისუფლებისა და დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში გამოჩენილი დამსახურებისათვის ჯილდოც კი დაიმსახურეს. სურათი გადაღებულია 1879 წელს ქ. თბილისში დედასამშობლოსთან ახალდაბრუნებული აჭარის დეპუტაციის დედაქალაქში სტუმრობისას.

მასზე გამოსახული არიან **(მარცხნიდან მარჯვნივ): აბდულ ლორთქიფანიძე** (ქედის რ-ნის სოფელი ვაიოძ, **მუსტაფ გაბაიძე, იუსუფ ბერიძე** (ხულოს რ-ნის სოფელი ხიხაძირიძ. სურათი და ჯილდოები ინახებოდა მუსტაფ გაბაიძის შვილიშვილის თუფან გაბაიძის ოჯახში, ხოლო 1956 წლიდან აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია, როგორც ძვირფასი რელიკვია. შედგენილია გაბაიძეთა გვარის გენეალოგიური ხე, სადაც მუსტაფი ფიგურირებს, როგორც გაბაიძეთა გვარის ღირსეული შვილი.

**ამრიგად, სურათზე გამოსახული არიან არა ლაზები, როგორც ადრე ჩემულობდნენ, არც ფირალები. ისინი არიან გენერალ შერიფ ხიმშიაშვილის თანამებრძოლები, სამშობლოს პატრიოტი შვილები აჭარიდან, — თქვა ბატონმა სერგო დუმბაძემ.**

**ამირან კილურაძე,**
**„სრ“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**

ტყვიის სროლა



# ნინოს მეცხრე სიმაღლე

**მიუნხენში, ტრადიციულად, ტყვიის მსროლელთა წლის შემაჯამებელი შეჯიბრება – მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება გაიმართა. სპორტული და პნევმატური პისტოლეტებით ასპარეზობაში თორმეტ-თორმეტმა მონაწილემ მოიყარა თავი. მათ შორის გახლდათ ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელი, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ნინო სალუქვაძე.**

სეულის ოლიმპიადის ტრიუმფატორმა სპორტული პისტოლეტით საკვალიფიკაციო ეტაპი 578 ქულითა და მე-4 ადგილით დაასრულა. ფრანგი სელინ გობერვილი მას 4 ქულით უსწრებდა, ხოლო გერმანელთა მონგოლ მსოფლიო ჩემპიონ მუნკბაიარ დორჯსურენსა და ჩეხ ბრინჯაოს პრიზიორ ლენკა პიკოვა-მარუსკოვას 579-579 ქულა ჰქონდათ. ფინალში სალუქვაძემ შესანიშნავად იასპარეზა – 205,4 ქულა მოაგროვა და საერთო მაჩვენებლით (783,4ქ მთავარი პრიზი – ბროლის გლობუსი მეცხრედ დაისაკუთრა.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

**ბელგიაში 30 ოქტომბერს დამთავრდება 19 წლის მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა. უკვე გაუწყეთ, რომ ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა" იოლად გადალახეს პირველი ბარიერი.** ნახევარფინალში მთავარ კონკურენტ რუმინეთის ნაკრებს აჯობეს 29:3 და გადამწყვეტ პაექრობაში დღეს დაუპირისპირდებიან რუს თანატოლებს, რომლებმაც ბელგიელებს სძლიეს 23:10.

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი

# ვინ – ვის

**გაიმართა ევროლიგის ჯგუფური ტურნირის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.**

**„ა" ჯგუფი.** „პროკომი" – „ტაუგრესი" 73:80, „მაკაბი" – „ჟალგირისი" 86:70, „პარტიზანი" – „ხიმკი" 72:68.

„ტაუგრესი" – 2, „ხიმკი", „მაკაბი", „ჟალგირისი", „პარტიზანი" – 1-1, „პროკომი" – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ჟალგირისი" – „პროკომი", „ხიმკი" – „ტაუგრესი" (3 ნოემბერიძ, „პარტიზანი" – „მაკაბი" (4 ნოემბერიძ.



**„ბ" ჯგუფი.** „რეალი" – „უნიკახა" 68:56, „ბროზე" – „ოლიმპიაკოსი" 73:61, „შარლერუა" – „რომა" 55:64.

„რომა" – 2, „ოლიმპიაკოსი", „უნიკახა", „რეალი", „ბროზე" – 1-1, „შარლერუა" – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ოლიმპიაკოსი" – „უნიკახა", „ბროზე" – „შარლერუა" (3 ნოემბერიძ, „რომა" – „რეალი" (4 ნოემბერიძ.

**„გ" ჯგუფი.** „ლიეტუვას რიტასი" – „სიენა" 75:79, „შოლე" – „ბარსელონა" 77:84, „ციბონა" – „ფენერბახჩე" 68:73.

„სიენა", „ფენერბახჩე", „ბარსელონა" – 2-2, „ციბონა", „ლიეტუვას რიტასი", „შოლე" – 0-0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „შოლე" – „ლიეტუვას რიტასი", „სიენა" – „ციბონა", „ბარსელონა" – „ფენერბახჩე" (4 ნოემბერიძ.

**„დ" ჯგუფი.** „პანათინაიკოსი" – ცსკა 74:60, „მილანი" – „ოლიმპია" 72:76, „ეფეს პილსენი" – „ვალენსია" 79:63.

„პანათინაიკოსი", „ოლიმპია" – 2-2, „ეფეს პილსენი", „ოლიმპია" 1-1, ცსკა, „ვალენსია" – 0-0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ეფეს პილსენი" – „მილანი", „ვალენსია" – ცსკა (3 ნოემბერიძ, „ოლიმპია" – „პანათინაიკოსი" (4 ნოემბერიძ.

ფეხბურთი

# დიდუბისკენ – ჰერი, ჰერი!

**ხვალ საქართველოს სტადიონებზე გაიმართება ფეხბურთელთა XXII ეროვნული ჩემპიონატის XIII ტურის მატჩები: „დინამო" – „ოლიმპი", „ტორპედო" – „ბაია", „სიონი" – „სამტრედია", „ვიტ ჯორჯია" – „კოლხეთი" და „ცხინვალი" – „ზესტაფონი". პირველი და მეორე შეხვედრა 18 საათზე დაიწყება, ხოლო დანარჩენები – 15 საათზე.**



სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბისა და ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის დუელი იწვევს, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის სარბიელზეა დანიშნული. თუ გავითვალისწინებთ მეტოქეთა მიერ II წრის სტარტზე მოპოვებულ გამარჯვებებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდუბეში ცხარე ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

გაუწყებთ XII ტურში დაფიქსირებულ შედეგებს: „დინამო" – „კოლხეთი" 5:0 (კვარაცხელია, ლექვთაძე – 2, მუჯირი, ხმალაძეძ, „ცხინვალი" – „ოლიმპი" 2:3, „ვიტ ჯორჯია" – „სიონი" 1:0, „ბაია" – „ზესტაფონი" 1:3, „ტორპედო" – „სამტრედია" 0:0.

„ზესტაფონი", „დინამო" – 24-24, „ოლიმპი" – 23, „ბაია" – 18, „ვიტ ჯორჯია", „კოლხეთი" – 16-16, „სიონი" – 14, „ტორპედო", „სამტრედია" – 12-12, „ცხინვალი" – 6 ქულა.

ოლიმპიზმი

# ორდენი გადაეცა



**წლეულს ვანკუვერში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი, რომლის მემორიალიც ამას წინათ გაიხსნა ბაკურიანში.** სწორედ ამ მემორიალთან გამართულ საგანგებო ცერემონიალზე ქუმარიტაშვილის ოჯახს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ორდენი სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორის მოადგილემ პამელა ვაიპონდმა, საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცმა იოზეფ ფენდტმა და ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჰერალდ სტეირერმა გადასცეს. ცერემონიალში მონაწილეობდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი.



ინტერნეტიდან

## ვინ დაეუფლება „ოქროს ბურთს"?!

**ფიფამ გამოაქვეყნა „ოქროს ბურთის" კანდიდატთა სია. მასში მოხვედრილი 23 ფეხბურთელიდან 7 ესპანელია, ხუთი კი გერმანელი. კლუბებს შორის ლიდერობს „ბარსელონა" – 6 მოთამაშე, შემდეგ კი მოდის „ბავარია" – 5 მოთამაშე.**




ალბათ გახსოვთ, აქამდე ირჩევდნენ ცალკე მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელსა და ცალკე კი – „ოქროს ბურთის" მფლობელს, რომელიც დააწესა ფრანგულმა ჟურნალმა Franc Football. ისიც აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან ორივე კონკურსის გამარჯვებულები ერთმანეთს ემთხვეოდა: რონალდინიუ, კანავარო, კაკა, კრიშტიანუ რონალდუ, მესი.

წლეულს, 5 ივლისს ფიფა და ფრანგული საგამომცემლო ჯგუფი Amaury შეთანხმდნენ ორივე კონკურსის გაერთიანებაზე. ასე რომ, ამიერიდან „ოქროს ბურთი" მიენიჭება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სახელით.

6 დეკემბერს ფიფა და Franc Football გამოაცხადებენ სამ ნომინანტს, ვინც მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და მედიის წარმომადგენლების ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. 10 იანვარს კი ციურიხში გამოცხადდება ფიფას „ოქროს ბურთის" პირველი მფლობელი.

**აი, ვინ არიან 23 კანდიდატს შორის:** მეკარეები **იკერ კასილიასი** (ესპანეთი – „რეალი"ძ, **ჟულიუ სეზარი** (ბრაზილია, „ბავარია"ძ, მცველები **დანიელ ალვეში** (ბრაზილია, „ბარსელონა"ძ, **ფილიპ ლამი** (გერმანია, „ბავარია"ძ, **მაიკონი** (ბრაზილია, „ინტერი"ძ, **კარლეს პუიოლი** (ესპანეთი, „ბარსელონა"ძ, ნახევარმცველები **სესკ ფაბრეგასი** (ესპანეთი, „არსენალი"ძ, **თომას მიულერი** (გერმანია, „ბავარია"ძ, **მესუტ იოზილი** (გერმანია, „ვერდერი", „რეალი"ძ, **ბასტიან შვაინშტაიგერი** (გერმანია, „ბავარია"ძ, **არიენ რობენი** (ჰოლანდია, „ბავარია"ძ, **ვესლი სნაიდერი** (ჰოლანდია, „ინტერი"ძ, **ხაბი ალონსო** (ესპანეთი, „რეალი"ძ, **ხავი** (ესპანეთი, „ბარსელონა"ძ, თავდამსხმელები **დიდიე დროგბა** (კოტ დივუარი, „ჩელსი"ძ, **სამუელ ეტო' ო** (კამერუნი „ინტერი"ძ, **დიეგო ფორლანი** (ურუგვაი, „ატლეტიკო"ძ, **ასამოა გიიანი** (განა, „რენი", „სანდერლენდი"ძ, **მიროსლავ კლოზე** (გერმანია, „ბავარია"ძ, **კრიშტიანუ რონალდუ** (პორტუგალია, „რეალი"ძ, **დავიდ ვილია** (ესპანეთი, „ვალენსია", „ბარსელონა"ძ.

**წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებაზე ათი კანდიდატია. აი ისინიც: კარლო ანჩელოტი** („ჩელსი"ძ, **ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთის ნაკრებიძ, **ალექს ფერგიუსონი** („მანჩესტერ იუნაიტედი"ძ, **ხოსეპ გვარდიოლა** („ბარსელონა"ძ, **იოაჰიმ ლიოვი** (გერმანიის ნაკრებიძ, **ჟოზე მოურინიუ** („ინტერი" და „რეალი"ძ, **ოსკარ ტაბარესი** (ურუგვაის ნაკრებიძ, **ლუი ვან გალი** („ბავარია"ძ, **ბერტ ვან მარვიკი** (ჰოლანდიის ნაკრებიძ, **არსენ ვენგერი** („არსენალი"ძ. ფიფა საუკეთესო მწვრთნელს პირველად ირჩევს. ის ციურიხში 10 იანვარს გამოცხადდება. იმავე დღეს ცნობილი გახდება მსოფლიოს საუკეთესო ქალი ფეხბურთელი და ქალთა კლუბის საუკეთესო მწვრთნელიც.

## ნიკოლეტამ ფეხბურთელებს გადაუარა

**კვლავ ბევრს ლაპარაკობენ ცნობილი ბულგარელი მოდელის ნიკოლეტა ლოზანოვას ინტიმურ „გმირობაზე". რამდენიმე დღის წინათ ბულგარელმავე მომღერალმა ალისიამ გაამჟღავნა, რომ დასრულდა მისი რომანი ფეხბურთელ ვალერი ბოჟინოვთან, ისე რომ, ვალერის შეუძლია ნიკოლეტასთან ურთიერთობის გაგრძელება. ლამაზმანი ხომ მისგან ბავშვს ელოდება.**

ერთ-ერთმა ბულგარულმა საიტმა თავის ტრადიციულ ყოველკვირეულ მიმოხილვაში ყურადღება გაამახვილა ნიკოლეტას სკანდალურ სასიყვარულო კავშირებზე ფეხბურთელებთან, თან ყველაზე პოპულარულებთან. ამტკიცებენ, რომ მას კავშირი ჰქონდა ბულგარეთის ნაკრების მეკარე ნიკოლა მიხაილოვთან და „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ დიმიტარ ბერბატოვთან.



ბევრს ეს არ სჯერა, რადგან იცის, რომ მისი მომავალი ბავშვის მამა იტალიაში მოთამაშე ვალერი ბოჟინოვია. მათი ურთიერთობა ყვითელი პრესის მუდმივი ყურადღების ცენტრშია.

* * *

**როგორც გუშინ დღის ბოლოს მიღებული ინფორმაციებიდან შევიტყვეთ, იტალიური „პარმასა" და ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელმა ვალერი ბოჟინოვმა განაცხადა: მართალია მას ალისია უყვარდა, მაგრამ შარშანდელი დეკემბრიდან, როცა მის ცხოვრებაში მძიმე პერიოდი იყო, ის დაუახლოვდა ნიკოლეტას და ის დაეხმარა, რათა ფეხბურთელს თავისი თავი ეპოვნა.**

64 უჯრა

# კუ მეფის დახმარებით იმარჯვებს

ჟოზე 1966



შამათი 4 სვლაში

კუ [illegible]
[illegible]
1. c3 – მეa5 2. კh6 – მეb5
3. კd2 – მეa5 4. e4X

ტროიცკი 1895



მოგება

g8ლ+!! [illegible]
[illegible]
2. ... e5 [illegible] 2. ... e6+ [illegible]
[illegible]
1. კh6+ – მეg8 2. g7 – მეf7
3. g8ლ!! – მეg8 4. მეe6! – მეh8
5. მეf7 – e6 6. კg7X

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

**30 ოქტომბერი, შაბათი**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „კატები და ძაღლები“
12.15 სპექტაკლი „ოუშენის 11 მეგობარი“
14.00 სპექტაკლი „კვაჭი კვაჭანტირაძე“
16.15 საკონცერტო შესრულება „კარმენი“, „რიგოლეტო“
18.00 ტელეფილმი „სერენადა“
18.30 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო – დიდი ბრიტანეთი
20.30 მხ. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
23.00 სერიალი „ფარი“
00.30 კრივი. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული: ავთანდილ ხურციძე
01.40 მხ. ფილმი „ძმები“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „კატები და ძაღლები“
21.20 კონცერტი „ერისიონი“
23.10 მხ. ფილმი „ძმები“

„რუსთავი-2“
13.00 მხ. ფილმი „ყველაზე დიდი მატყუარა“
15.00 მხ. ფილმი „ნერგები“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ელისა?“
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე“
23.00 სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი „წარსული“
02.00 მხ. ფილმი „ომი“

მზე
13.50 იტალ. სერიალი „უკანასკნელი ამოძახილი“
14.50 სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია“
15.40 სერიალი „ველური მთვარე“
16.30 მხ. ფილმი
18.40 სერიალი „ჩემი შეყვარებული“
20.00 ფეხბურთი
22.00 სერიალი
22.45 ფეხბურთი
00.10 მხ. ფილმი

იმედი
09.15 მხ. ფილმი „უცნაური ფერია“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00, 18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
23.00 „მის მსოფლიო – 2010“
01.00 მხ. ფილმი „კარლიტოს გზა“ (სუბტიტრებით)
03.35 მხ. ფილმი „უფლისწული მუხუდოს მარცვალზე“
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
13.15 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
18.50 მხ. ფილმი
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „მე ვხედავ მზეს“
19.30 მხ. ფილმი „რაც გინახავს – ველარ ნახავ“
00.40 მხ. ფილმი „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“

საქართველო
10.55 სერიალი „აივენგო“
11.55 სერიალი „სპარტაკი“
14.35 მხ. ფილმი „ღამურა 21“
16.30. მხ. ფილმი „საუკეთესო“
18.20 მხ. ფილმი „მაქს პეინი“
20.10 მხ. ფილმი „სამი იქსი“
22.35 მხ. ფილმი „ლეიკვიუ ტერასი“
00.25 მხ. ფილმი „სუპერგმირი“

რეგიონი – TV
11.30 მხ. ფილმი „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“
12.10, 00.55 მხ. ფილმი „დუბლიორი“
14.35 მხ. ფილმი „ვარდისფერი პანტერა“
16.05 მხ. ფილმი „კაცი რკინის ნიღბით“
18.20 მხ. ფილმი „დაძაბე ტვინის ხვეულები“
20.40 მხ. ფილმი „მკვლელობის უფლება“
22.20 მხ. ფილმი „დაუმორჩილებელი“
00.35 მხ. ფილმი „10 000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე“

**31 ოქტომბერი, კვირა**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „სკუბი დუ 2“
12.15 მხ. ფილმი „დეივი“
18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „დინამო“ (თბილისი) – „ოლიმპი“ (რუსთავი)
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
22.00 სერიალი „ფარი“
23.00 მხ. ფილმი „ბიჭებთან ერთად მანქანით გასეირნება“

II არხი
22.00 კონცერტი ზუმბა
23.35 მხ. ფილმი „ბანანები“

„რუსთავი-2“
13.00 მხ. ფილმი „თამაში ორი ხელით“
15.20 სერიალი „კაპრი“
22.00 სერიალი
23.00 სად? რა? როდის?
00.00 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი 2“
02.20 მხ. ფილმი „წითელი დრაკონი“

მზე
14.30 ფეხბურთი
17.00 ფეხბურთი
19.00 მხ. ფილმი
21.00 ფეხბურთი
23.00 ფეხბურთი



იმედი
12.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00 სერიალი „ლობას საიდუმლო“
15.00 მხ. ფილმი „რობინზონიადა“
18.45 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
21.00 სტუმრად იუმორინასთან
22.00 ქართული სერიალი „შუა ქალაქში“
00.00 სერიალი „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „დრაკონის გზა“ (სუბტიტრებით)
03.00 მხ. ფილმი „გამოგონილი მკვლელობა“ (სუბტიტრებით)
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.40, 21 00 სერიალი „პადრე კორახე“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.15 მხ. ფილმი
23.00 მუსიკალური პროექტი
23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“
16.00 კლასიკა – კონცერტი
19.30 მხ. ფილმი „გიორგობის თვე“
00.30 ოპერა

საქართველო
10.55 სერიალი „აივენგო“
11.55 სერიალი „სპარტაკი“
14.35 მხ. ფილმი უჩვეულო გმირობა“
16.30 მხ. ფილმი „ტიტანების ბრძოლა“
18.20 მხ. ფილმი „სასიკვდილო რბოლა“
20.20 მხ. ფილმი „სამი იქსი: მდგომარეობა ქვეყანაში“
22.10 მხ. ფილმი „რონინი“
00.20 მხ. ფილმი „ჩამორთმევა“

რეგიონი – TV
11.35 მხ. ფილმი „გადარჩენის სკოლა“
13.25 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“
15.20 მხ. ფილმი „ჯონი დ.“
17.50 მხ. ფილმი „ზღვების ბატონი დედამიწის კიდეზე“
21.10 მხ. ფილმი „პარიზიდან სიყვარულით“
22.45 მხ. ფილმი „ადელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“
00.45 მხ. ფილმი „ბორნის ულტიმატუმი“

**1 ნოემბერი, ორშაბათი**

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
00.30 მხ. ფილმი „გემი მოჩვენება“

II არხი
09.00 მხ. ფილმი „სკუბი დუ 2“
20.00 მხ. ფილმი „დეივი“
01.00 მხ. ფილმი „ბიჭებთან ერთად მანქანით გასეირნება“

„რუსთავი-2“
10.00 სერიალი „გძნობათა ტყვეობაში“
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი“
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
14.00 ჯეოსტარი
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ალისა?“
22.00 ჯეოსტარი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „კომიტმენტი“

მზე
10.50 სერიალი „კონან დოილის ქრონიკები“
11.40 სერიალი „ტყუპები“
12.30 მხ. ფილმი
14.50 სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია“
15.40 სერიალი „ველური მთვარე“
17.00 ფეხბურთი „ჯენოა“ – „ინტერი“
18.50 სერიალი „ჩემი შეყვარებული“
19.40 მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრებით)
00.00 ფეხბურთი „მალიორკა“ – „ლევანტე“

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 „მეორე სიცოცხლე“
13.00 სერიალი „ლობას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
22.00 სერიალი „27 დრაკონი“ მე-5 სერ.
23.00 მხ. ფილმი „კომანდო“
01.00 მხ. ფილმი „ველური ორქიდეა 2“
02.55 მხ. ფილმი „მელქიადეს ესტრადის სამი დასაფლავება“ (სუბტიტრებით)
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
11.40, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
12.45 მხ. ფილმი
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
23.55 მხ. ფილმი „შავი ანგელოზის გაფრენა“

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „გიორგობის თვე“
19.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“
23.15 მოკლემ. ფილმი „ღვინის ქურდები“

საქართველო
08.50 სერიალი „გზების რაინდი“
09.40 მხ. ფილმი „ღირსების სახელით“
11.50 მხ. ფილმი „ბრძოლის ველი“
14.00 სერიალი „ჯარისკაცთა საძმო“
15.05 მხ. ფილმი „სტილეტი“
17.50 სერიალი „გზების რაინდი“
18.40 მხ. ფილმი „კოდი“
20.30 მხ. ფილმი „ეშმაკის ადვოკატი“
23.00 სერიალი „ჯარისკაცთა საძმო“
00.20 მხ. ფილმი „თმა“

რეგიონი – TV
04.45, 19.45 სერიალი „ვნების ანატომია 6“ მე-8 სერია
11.45 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი“
13.40, 00.55 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“
16.00 მხ. ფილმი „ლოპოჩკა“
18.00 მხ. ფილმი „ტელეფონის ჯიხური“
22.10 მხ. ფილმი „კოდი“

---



გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი კარლო საკანდელიძე, რომელმაც მთელი სიცოცხლე საყვარელ საქმეს მიუძღვნა. გამორჩეული იყო ინდივიდუალობით, ნიჭიერებით, პიროვნული ხიბლითა და დიდი კულტურით. ყველა მისი როლი თეატრის სცენაზე და კინოეკრანზე შეიყვარა მაყურებელმა და წარუშლელი კვალი დატოვა ერის მეხსიერებაში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ბატონ კარლოს, თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*
*მერაბ ბერძენიშვილი*

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრის შესანიშნავი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი

კარლო საკანდელიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ხსოვნა

# გურამ ნადარეიშვილი



აბაშის მუნიციპალიტეტმა დიდი დანაკლისი განიცადა: ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი აგრონომი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი გურამ ნესტორის ძე ნადარეიშვილი.

გ. ნადარეიშვილი დაიბადა 1931 წელს აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში პატიოსანი მშრომელი კაცის ოჯახში, სადაც იზრდებოდა სამ ძმასთან ერთად, რომლებიც შემდგომში ერის საჩინო მოღვაწენი გახდნენ.

მამას – ნესტორ ნადარეიშვილს პირველ მსოფლიო ომში საბრძოლო დამსახურებისთვის ოთხი წმინდა გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული.

თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გურამ ნადარეიშვილი აბაშაში ჩამოდის და მუშაობას იწყებს სათავო პარკსაშრობის დირექტორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ონტოფოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ძველი აბაშის მეურნეობის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ გარდაბნის მინისტრთა საბჭოს მეურნეობაში, 1996 წლიდან კი აბაშის მერად იყო არჩეული.

იყო შესანიშნავი მოქალაქე, ერუდირებული, მრავალი ღირსებით შემკული კაცი და ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

პედაგოგ ქალბატონთან ციალა ჯიბლაძესთან ერთად შექმნილი ჰქონდა ღირსეული ოჯახი და აღზარდეს ორი ქალიშვილი. აკვალიანებდა და ზნეობის მაღალ გაკვეთილს აძლევდა ორ შვილიშვილს.

აბაშაში ყველანი იცნობდნენ და პატივს მიაგებდნენ გურამ ნადარეიშვილს, ამჟამად პენსიონერს, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებით დაინტერესებულ და მოჭირნახულე ადამიანს.

ქრისტიანული იყო მისი ცხოვრების აღსასრული.

*აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა*

---

აკად. კ. ვ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემიის მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორ დინა ჯინჭარაძეს გარდაეცვალა დედა, უსათნოესი ქალბატონი

ნინო ჯინჭარაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება აუქციონის შესახებ

**2010 წლის 12 ნოემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ალიონი 21“-ს (მისამართი: მცხეთა, სოფელი ძეგვი ს/ნ 204513712) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:**

მცხეთა, სოფელი ძეგვი, საკადასტრო კოდი №72.11.04.299, დაზუსტებული ფართობი 53 390 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი – სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

იჩქარეთ. გამოიწერეთ!

# ვინა თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?

## ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი

აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე"!..

ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და ფიქრია ჩიხრაძის მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება.

ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...



იმედია ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც, პრეზიდენტს მიბაძავს, აქამდე სათოფეზე რომ არ ეკარებოდა პრესას, დღეიდან, ისევ პრეზიდენტის მიბაძვით, არა მარტო დაიწყებს გაზეთების კითხვას, არამედ გამოიწერს კიდეც ჩვენს გაზეთს, თანაც არა ერთი თვით, რასაც თავის თავს არ აკადრებს, არამედ მთელი ერთი წლით, რაც სულ 120 ლარი დაჯდება.

ყველაზე სანდო და ყველაზე ძველი (გამოდის 1918 წლიდანძ ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე" – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე" – 93-38-75; „პრესექსპრესი" – 96-23-11; „ელვასერვისი" – 38-80-02; „ჯეომედია" – 95-51-70; „საქპრესა" – 51-59-05; „საქპრესა+" 51-57-43; „ინფო"-2007 – 34-11-40; „პრეს+" 14-23-97.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7921 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5233 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8765 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9490 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9618 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2359 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2660 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2736 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6986 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +12 – +20 |
| ქუთაისი. | +14 – +24 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +12 – +25 |
| თელავი. | +12 – +20 |

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვ.მ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**შევიძენ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

## ანეკდოტები

მივიდა მოხუცი ქალი ექიმთან.

– მიბრძანდით, ბებო, შირმის მიღმა, გაიხადეთ, წამოწექით ტახტზე და როგორც კი მზად იქნებით, დამიძახეთ! – ეუბნება ექიმი.

რამდენიმე წუთის შემდეგ შირმის მიღმიდან ისმის:

– მოდი, შე ანცო, უკვე მზად ვარ!

* * *

ფსიქიატრთან მივიდა ქალი, ნაცემი, ერთიანად დალურჯებული, გასაცოდავებული.

– ღმერთო ჩემო, რა დაგემართათ? – ეკითხება ექიმი თანაგრძნობით.



– რა და, როგორც კი მთვრალი მოვა ქმარი შინ, მაშინვე მცემს ხოლმე...

– მე ერთი შესანიშნავი ხალხური საშუალება ვიცი, ქალბატონო! დაიყენეთ გვირილის ნაყენი და როგორც კი თქვენი ქმარი სახლში შემოვა, მაშინვე დაიწყეთ ამ ნაყენის პირში გამოვლება.

ორი კვირის შემდეგ კვლავ მივიდა ის ქალი იმავე ექიმთან. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მომხიბლავი, შინაგანი თავდაჯერებულობით გაბრწყინებულს თვალს იოლად ვერ გაუსწორებდი.

– ისეთი მადლობელი ვარ თქვენი, ექიმო, საოცარი რეცეპტია, თან როგორი უბრალო! ხომ ვერ მეტყვით, რა არის მისი საიდუმლო?–

– იცით რა, ქალბატონო? ისეთ ვითარებაში, თქვენ რომ იყავით, დუმილი მუდამ შველის!

* * *

ძვირფასო ქალებო, გეყოთ რა მუდამ იმის კითხვა, რამდენი ქალი ჰყავდა თქვენამდე მამაკაცს!

იმიტომ, რომ დაჭერილ თევზებს თევზაობის დამთავრებამდე არავინ ითვლის!!!

## დაიჯესტი

# დაუბრუნებლობის წერტილი

**მრავალი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი იმის გაანგარიშებითაა დაკავებული, თუ როდის დადგება ქვეყნიერების დასასრული. განსაკუთრებით ეს პრობლემა ეკოლოგებს აწუხებთ, რომელთა გათვლით 2010 წლის 21 აგვისტოს კაცობრიობამ ის წერტილი გადალახა, როცა ბუნებრივი რესურსების „შთანთქმა", შესაძლოა, შეუქცევად პროცესად გადაიქცა.**

ეს, ცხადია, მათემატიკური მოდელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შიშის მომგვრელი. საერთაშორისო ანალიტიკურმა ცენტრმა „გლობალ ფუთპრაინტ ნეტვორკმა" საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. მოყოლებული 1961 წლიდან, სპეციალისტები აკვირდებიან, თუ როგორ ვითარდება, იზრდება და, შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებს მოიხმარს კაცობრიობა. აქამდე დედამიწის ბუნებრივი რესურსები გვყოფნიდა, ხოლო მსოფლიო შიმშილის, წყურვილისა და მთელი პლანეტის ერთიანად უზარმაზარ სანაგვედ გადაქცევის საშიშროება 21 აგვისტომდე უფრო მეტად ვირტუალური იყო, რადგან ბუნება მისთვის მიყენებული ზიანის „შევსებას" ახერხებდა. ამ თარიღის შემდგომ კი ხიფათი რეალური გახდა. ეკოლოგიური „გასავალ-შემოსავლის" შედარებამ ცხადყო, რომ, როგორც ჩანს, კაცობრიობამ გაიარა ე.წ. „დაუბრუნებლობის წერტილი" (ავიაციაში ასე უწოდებენ წერტილს, რომლიდან თვითმფრინავი, აუცილებლობის წარმოშობის ვითარებაში, მშობლიურ აეროდრომამდე საწვავის სამყოფად, აუცილებლად უკან უნდა მობრუნდესძ.



საქმე ის არის, რომ კაცობრიობის რიცხოვნობა განუხრელად იზრდება და თუკი ჩვენი ცხოვრების ზოგად წესებში არაფერი შეიცვლება, დედამიწის რესურსები, უბრალოდ, აღარ გვეყოფა.

– ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ კაცობრიობის მიერ რესურსების მოხმარებისა და დედამიწის მიერ მათი შევსების უნარის ტემპები, რის შედეგად „დაუბრუნებლობის წერტილად" 21 აგვისტო დაფიქსირდა, – ამბობს გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი, იტალიელი მეცნიერი რობერტო ბრამბილა.

პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში „გლობალ ფუთპრაინტ ნეტვორკის" სპეციალისტები წინასწარმეტყველებენ, რომ უახლოეს ხანებში კაცობრიობა იძულებული იქნება წყალი მიწის ქერქის იმ ფენებიდან ამოქაჩოს, რომლებიც წვიმებით არ ივსებიან, სასაძოვრე მეცხოველეობა კი მინდვრების ხარჯზე გაიზრდება, რაც მათ უდაბნოდ გადააქცევს, ზღვებსაც და ოკეანეებსაც „დაცარიელება" ელით თევზისა და წყლის სხვა ბინადართა ჭერის ინტენსივობის უსაშველო ზრდასთან ერთად და ისინიც „წყლის უდაბნოებად" გადაიქცევიან, ყოველ წუთში კი დაკარგული ტყის მასივების ფართობი... 65 ფეხბურთის მინდვრის მთლიან ფართობს გადააჭარბებს. ყველაზე საშინელი მაინც ის არის, რომ დედამიწის სიმდიდრის ხარჯვის სანაცვლოდ ჩვენ საერთო სახლს, პრაქტიკულად, არაფერს ვაძლევთ.

ამის შედეგი კი სადღეისოდ ასეთია: 100 სახელმწიფოდან 80 იმაზე მეტს მოიხმარს, ვიდრე ამის საშუალებას მათ საკუთარი ტერიტორია აძლევთ! მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სტატისტიკური მოქალაქის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად სივრცის 9 ჰექტარი სჭირდება, რაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მსოფლიოში ყველა ადამიანი ამერიკელივით რომ ცხოვრობდეს, კაცობრიობას უახლოეს მომავალში დედამიწისნაირი... ოთხი პლანეტა დასჭირდებოდა!

ერთი შვება ისაა, რომ, თავად ეკოლოგთა აღიარებით, 2010 წლის 21 აგვისტო მაინც პირობითი თარიღია, თუმცა დედამიწის „დაკარგვის" პერსპექტივა – სავსებით რეალური.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

ქირავდება კომერციული-საოფისე (301 კვ.მ.ძ ფართი პეკინის (გამსახურდიასძ გამზ. 42-ში.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 893-505-112. www.matsne-capital.ge

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.